№ 76

კვირა, 15 მაისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 76

კვირა, 15 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

კნეინა მარიამ კონსტანტინეს ასული და კნეინა ეფემია გიორგის ასული ამირეჯიბისანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისა და მეორე—შვილის

თავად ლევან კონსტანტინეს ძის ამირეჯიბისას.

ცხედრის დაკრძალვა მოხდება სოფელ ფცაში, 16 მაისს, დილის 10 საათზე.

კვირას, 15 მაისს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

იოსებ ზოსიმეს ძის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი **ეკატერინე სიმონის ასული** და მეუღლე **ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ**. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე. (2—უ—2).

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 15 მაისს, შუადღის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ქართულ მუსიკის მოღვაწის

ვლადიმერ აღნიაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—6.—2).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцеву. წლ

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ინტელიგენცია და „მიმართულება".

ხალხის ახლანდელმა მოძრაობამ ერთი საგულისხმიერო გაკვეთილი მისცა ინტელიგენციას, რომელიც ძალა-უნებურად იძულებულია ყურადღება მიაქციოს ამ გაკვეთილს და ძველებური შეხედულება თავის ძალ-ღონესა და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე ამ გაკვეთილის თანახმად ,,შეაპაჩინკოს'' და ამგვარად ოცნების სამფლობელოს გამოშორდეს და უფრო რეალურ ცხოვრებას დაუახლოვდეს...

ამ უკანასკნელ დრომდის ბევრ ინტელიგენტს სჯეროდა დიადი საზოგადოებრივი ძალა ინტელიგენციისა; იგი მიაჩნდა მთავარ მამოძრავებელ მანქანად საზოგადოებრივ ურთიერთობისა და ცხოვრების მიმდინარეობისა. ასე ჰქონდა ბევრს საგანი წარმოდგენილი. საჭირო იყო ინტელიგენციას ემოქმედნა, ემუშავნა და ცხოვრებაც ამ მისი მუშაობის კვალობაზე წავიდოდა... წავიდოდა იმიტომ, რომ ინტელიგენციის ნაჩვენები გზა, ვითარცა გზა, ნასწავლ და მცოდნე ხალხისაგან ამორჩეული, უთუოდ სწორი და ამიტომ ხალხისთვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, წინ არარაფერი უდგა დაბრკოლებად, რომ ხალხიც ინტელიგენციას გაჰყოლოდა და ინტელიგენციისაგან შემუშავებული იდეალები თვის იდეალებად გაეხადა.

მაგრამ დღეს რეალურ ცხოვრებაში გამოხატულმა ხალხის მოძრაობამ ბრმასაც-კი დაანახვა, რომ ეს ასე არაა, რომ ინტელიგენციის ძალღონე თავის-თავად ძალიან მცირე და უმნიშვნელოა, რომ ამა თუ იმ ინტელიგენტის შეხედულება და იდეალი ხალხის მისწრაფებისაგან ხშირად ძალიან დაშორებულია და რომ საზოგადოდ ინტელიგენციისაგან შემუშავებული გეგმა და მისწრაფება ხალხის მოქმედებისა და მოძრაობის საგნად მარტო იმ საფუძვლით ვერ გახდება, რომ იგი ინტელიგენციამ შეიმუშავა. ინტელიგენციის მისწრაფება მხოლოდ მაშინ გახდება ხალხის მისწრაფებად, როცა იგი ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების პირობებს შეეფერება და მის რეალურ ინტერესებს უქადის დაკმაყოფილებას. ეს კი ცხოვრებაში არასდროს არ ხდება, ვინაიდან ინტელიგენცია ერთეულ და ერთფეროვან მასსას არ წარმოადგენს, რომელსაც ვითომ შეეძლოს ერთნაირ იდეოლოგიის შექმნა და ერთის სამოქმედო ტაქტიკის შემუშავება.

სიტყვა «ინტელიგენცია» საერთო სახელია ყველა იმ ადამიანთა, რომელთაც სწავლა მიუღიათ და გონებრივის შრომის საშუალებით პოულობენ ცხოვრების სალსარს. ამ „ნასწავლ ხალხის" ჯგუფში სხვადასხვა ხალხებისა და წოდებისაგან გროვდებიან წევრები და თვის მიმართულებითა და გონებრივ შემეცნებით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თვითონ ხელობა ინტელიგენტებისა არ არის ისეთ საერთო რეალურ ნიადაგის შემცველი, რომელიც მათ აერთიანებდეს და ერთის განსაზღვრულ სოციალ-ეკონომიურ მიმართულების მომხრედ ჰხდიდეს. საზოგადოებრივს ბრძოლასა და კლასთა ურთიერთობაში თითოეული ინტელიგენტი, რომელიც კი აქტიურ მონაწილეობას იღებს ცხოვრებაში, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფის ინტერესებს იცავს და ემსახურება.

ამისათვის სრულიად საჭირო არ არის, რომ შთამომავლობით იგი იმავე კლასს ეკუთვნოდეს, როგორც მისი ,,იდეოლოგია'' მხარს უჭერს და პრაქტიკულ გზას უკაფავს. შთამომავლობით აზნაური ან თავადი, შეიძლება, უკიდურეს რადიკალურ აზრების მომხრე იყოს და სრულიად უარჰყოფდეს არისტოკრატიას და მემამულეთა კლასობრივ სარგებლობას. ასევე ბურჟუაზიის მომხრე, შეიძლება, იყოს გლეხთა წოდებიდან წარმომდგარი ინტელიგენტი, რომელსაც მამის ოჯახში, ან თავისსავე სახლობაში, იქნება, მჭადიც კი ენატრება საჭმელად. ერთის სიტყვით, საქმე მემკვიდრეობით შთამომავლობაში კი არ არის, არამედ იმ აზრ-შეხედულებასა და პრინციპებში, რომელსაც, ვითარცა საზოგადოებაში მომუშავე, ადგია თითოეული ინტელიგენტი.

ეს ზოგადი აზრი გამოგვათქმევინა ბ-ნ ხუნდაძის წერილმა, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთშია დაბეჭდილი. ავტორი გვისაყვედურებს: თავად-აზნაურული რად დაარქვით ჩვენს ქუთაისიდან გამოგზავნილ წერილს, რომელსაც 104 კაცი აწერდა ხელს და მათ შორის პლომად არა თავად-აზნაურნიც ერივნენ—უბრალო ინტელიგენტებიო. ასე გამოდის, თითქოს, ავტორის აზრით, ,,უბრალო ინტელიგენტობა'' რასმე ამბობდეს გარკვეულად და ამტკიცებდეს, მაგალითად, რომ ესა თუ ის „უბრალო ინტელიგენტი", რახან იგი ასეთი „უბრალო ინტელიგენტია", თავად-აზნაურულ მიმართულებას არ თანაუგრძნობს და ამ წოდების აგრარულ ინტერესებს არ იცავს.

ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი „დეკლარაციის" შესახებ, რომელიც ამას წინად იმერეთის თავად-აზნაურ ინტელიგენტებმა და უბრალო ინტელიგენტებმა გამოსცეს, და აქამად საჭიროდ აღარ მიგვაჩნია ნათქვამის განმეორება. ყოველ აგრარულ მოძრაობაში ორი მოწინააღმდეგე ინტერესი უპირდაპირდება ერთმანეთს და ამ შემთხვევაში ყოველი ინტელიგენტი, „უბრალო" იქნება იგი თუ ბრალიანი, ვალდებულია რეალური ურთიერთობა გაითვალისწინოს და საყვედური არ უთხრას სხვას, თუ თვითონ სოციალური განწყობილება ნათლად ვერ დაინახა... აგრარული საკითხი ძალიან რთული და მძიმე საკითხია და ბ-ნი ს. ხუნდაძე სცდება, როცა ჰფიქრობს, რომ მის მთავარ საგანს ვითომ მარტო ღალა შეადგენდეს. მთელს აგრარულ საკითხში ღალის სისხო-სიდიდის საკითხი შედარებით მცირე და პოლიტიკურის ხასიათის საგანია...

ბ-ნი ს. ხუნდაძე ამბობს, რომ ჩვენ გვსურს „გონიერი მიმართულება" ჰქონდესო გლეხთა მოძრაობას. გონიერ მიმართულებას თუ იმას ეძახის ჩვენი ავტორი, რომ დაწვა და დარბევა არ იყოს,—ჩვენ, რასაკვირველია, თანახმა ვართ. და ეს ჩვენ ,,დეკლარაციის" გამოცემამდისაც გამოვთქვით რამდენჯერმე, ხოლო თუ გონიერი მიმართულება იმას ჰქვია, რომ ხალხი პოლიტიკურს მოთხოვნილებაში შეუერთდეს თავად-აზნაურობას და ეკონომიურ საკითხში უარ-ჰყოს პრინციპი კლასობრივის სხვადასხვაობისა,—ჩვენ თანახმა ვერ ვიქნებით, ვინაიდან ასეთი ,,გონიერი მიმართულება'' არ მიგვაჩნია ხალხისათვის სასარგებლოდ და ცხოვრებაში გამოსაყენებლად...

კავშირების თავისუფლება...

კოკოვცევის კომისიაში მრავალი ისეთი საგულისხმო კანონპროექტი შეიტანეს, რომელიც, დიდი ხანია, გადაწყვეტას თხოულობდა. ძნელი სათქმელია, როგორ გადაასხვაფერებს ამ კანონპროექტებს კომისია, როგორ ცვლილებებს მოახდენს იმათში სახელმწიფო საბჭო ან როდის გახდება კანონად ეს კანონპროექტები.

საფაბრიკო ინსპექტორთა კრებაზე ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა თანამედროვე საზოგადოებრივ მოძრაობისა და მუშათა საკითხის შესახებ თავის აზრი გამოსთქვა. მინისტრის აზრს ჩვენ არასდროს და არასგზით არ დავეთანხმებით. ბ-ნმა მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსმა ადვილად იცის გატაცება, აღფრთოვანება და ეს გატაცებაცა და აღფრთოვანებაც მალე დაწყნარდება და ჩაქრებაო...

დღემდის სინამდვილე მინისტრის აზრს არ ეთანხმება. მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ ორიგინალურ და უშველებელ შენობის საძირკველს, რომელიც კომისიამ უნდაააგოს.

საქმე იმაშია, რომ ამ შენობას საძირკველი არა აქვს. მუშათა დაზღვევისაც, შრომის დაცვისაცა და გაფიცვის საკითხსაც ფეხის მოსაკიდი ნიადაგი არა აქვს და ჰაერში ძაფზე ჰკიდია, სწორედ ისე, როგორც პაწაწა და მშვენიერ სათამაშო ჩიტებს ჩამოჰკიდებენ ხოლმე მაღაზიაში. საკმარისია ეს ძაფი გაწყდეს და... ყველაფერიც ჩაიფუშება. სწორედ ასეთ ყოფაში იმყოფება ის ძვირფასი საქმეები, რომელიც კომისიამ უნდა გადასწყვიტოს. იმათი ბედი და მომავალიც სწორედ ისეთი იქნება, როგორიც სხვა ათას კეთილ განზრახვას ჰქონია: ამგვარი კომისიები და სურვილი მწვავე საქმის გადაწყვეტისა რუსეთის ისტორიის მრავალჯერ უმრავლეს უნახავს.

იმ დრომდე, სანამ მთელი ის ძაფები, რომლის დახმარებითაც კეთილის მოსურნე გენიოსები ზევიდან ცოდვილ ქვეყანას კარგ რაღაცეებს აწოდებენ, მანამდის ყველაფერი თითქოს კარგად მიდის, მაგრამ გაწყდება თუ არა ძაფი, გადავა თუ არა ესა თუ ის საქმე ერთ კომისიის ხელიდან მეორე კომისიის ხელში, გადაიცემს თუ არა ამ საქმეს ერთი მინისტრი მეორეს,—საქმის მდგომარეობაც ძირიან-ფესვიანად იცვლება და თითქოს დამთავრებული შენობა ხელადვე ინგრევა და იშლება.

ნამდვილი დაზღვევა მუშებისა, ნამდვილი უფლება გაფიცვისა და ნამდვილი დაცვა შრომისა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა გაფიცვის საქმეც და შრომის დაცვაც იმათ ხელში იქნება, ვისთვისაც საჭიროა გაფიცვაცა და შრომის დაცვაც. მხოლოდ შეგნებული და მტკიცედ შეკავშირებული მუშათა ძალა შეუდგამს სამინისტროს პროექტს იმ საძირკველს, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. მუშათა შესახებ გამოცემულ კანონს ის მეორად ვერავინ დაიცავს და ის ფრთხილად ვერავინ უყარაულებს, როგორც თვითონ მუშები. თუ მთავრობას უნდა, რომ მუშათა შესახებ კანონმდებლობა მხოლოდ უბრალო სახელი და ლანდი არ იყოს, თუ მთავრობას უნდა, რომ ეს კანონმდებლობა მეორე დღესვე არ გაჰქრეს და გაქარწყლდეს,—მისი დაცვა და განვითარებაც თვით მუშათა კლასს უნდა მიანდონ.

ეხლა, როცა ჩვენ რუსეთის ცხოვრების ჩარხის გადატრიალებას ველით, როცა ერთი-მეორეზე მომავალ პოლიტიკურ პარტიებს აარსებენ და პოლიტიკურ პროგრამებს ადგენენ, საზოგადოებას არა ერთხელ და ორჯერ მოუთხრობია დაჟინებით, რომ მომავალში მუშათა პარტიებსაც უნდა მიეცეს გზა, უნდა მიეცეს ძალა იმ კლასს, რომელმაც მუშათა შესახებ კანონმდებლობას თავის დამცველი და დარაჯები უნდა დაუყენოს. ამას განახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა ორგანიზაცია. დასავლეთის მუშათა პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციებს ათასი სხვადასხვანაირი საქმე აქვთ და, ეჭვს გარეშეა, რომ ასეთივე მრავალ-ფეროვანი და სხვადასხვანაირი საქმეები რუსეთის მუშასაც გამოუჩნდება. მაგრამ ყველაზე დიდი საქმე მაინც დაცვაა იმ უფლებისა, რომელიც მუშებს ძალით აქვთ მოპოვებული თუ დაწერილ კანონით,—ეს სულ ერთია, დაცვა, რომელიც მხოლოდ შეკავშირებულ მუშებს შეუძლიათ.

მუშათა კავშირების საკითხის გადაწყვეტა ფინანსთა სამინისტროში სოლკარის სისწრაფით მიდის. როგორ გადაწყდება ეს საქმე, არ ვიცით, მაგრამ ის კი, რომ სამინისტრო ეხლავე შედრკა და ფიქრობს: როგორ მიეცეთ მუშებს ორგანიზაციებისა და კავშირების უფლება მაშინ, როცა ეს უფლება არსებულ კანონით რუსეთის მოქალაქეთ არა აქვთო? მუშათა კავშირების საჭიროება ცხადია. მისი აუცილებლობა ხომ ეჭვს გარეშეა. ესეც რომ არ იყოს, იმავე ფინანსთა მინისტრმა, უმაღლესის ნებართვით, განაცხადა, სამინისტრო შეიმუშავებს ისეთ წესებსა და კანონებს, რომელიც „მუშებს კანონიერ საშუალებას მისცემს თავიანთი საჭიროებანი განიხილონ და მთავრობას შეატყობინონ"-ო. ამის გამო სამინისტრო მოვალეა, ასეთი წესები შემოიღოს. მაგრამ მოვალეა, ისეთი ნახევარ-ზომები და ზედაპირული კანონები კი არ გამოსცეს, რომელიც საქმეს უფრო ამწვავებს და ხალხსაც აბრაზებს, არამედ ისეთი გზა იპოვოს, რომელიც ეხლანდელ წყეულ ხვრელიდან სინათლისა და ჰაერისკენ გაგვიყვანს. ეს გზა კი დაკეტილი იქმნება იმ დრომდის, სანამ ყველას არ გაეხსნება: საერთოდ ყველას უფლება საუკეთესო დარაჯია კერძოდ თითო კაცის უფლებისათვის. (ს. ო.).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

13 მაისი.

მინსკი, 13 მაისი. „სევერო-ზაპადნი კრაი" იუწყება, რომ სახალხო სამინისტრომ დაამტკიცა წესდება „ზელორუსიის შემსწავლელ საზოგადოებისა", რომელსაც შეუძლიან იმოქმედოს ვილნის, გროდნოს, მოგილიოვის, ვიტებსკის და მინსკის გუბერნიებში.

მოსკოვი, 13 მაისი. ხელოსანთა ამქრების უსტაბაში ჰმართავს ხოლმე კერძო კრებებს იმის გამოსარკვევად, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიონ ხელოსნებმა თანამედროვე მოძრაობასა და მომავალ სახელმწიფო რეფორმებთან.

კავშირები სრულიად-რუსეთის ინჟინერთა, მასწავლებელთა, ფარმაცევტთა, ბეითალთა, აგრონომთა და სტატისტიკოსთა თხოულობენ, რომ ქალაქის საბჭომ ხელი არ შეუშალოს მუშების კრებას 14 მაისს საბჭოს დარბაზში. ტანისამოსის მაღაზიათა ნოქარნი უქმე დღეებში დასვენებას თხოულობენ.

ორ-წლებად მივიდა ბრძოლის ველიდან 855 დაჭრილი და ავადმყოფი. საგუბერნიო ერობის საბჭო აგრონომ ზუბრილინს ჰგზავნის ზელგიაში სამეურნეო აიაღების შესასწავლად და დასაკვეთად, ხოლო დანიაში მერძეობის შესასწავლად.

ბელგრადი, 13 მაისი. თანდათან ირკვევა, რომ მეფეს არა სურს აწინდელ საკუპშჩინოს დათხოვნა, რადგან ისეთი გავლენიანი პირნი არიან შიგ, რომ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგებიანო. ყველა დასის მეთაურნი თხოულობენ სკუპშჩინოს გადაყენებას. საზოგადოებაც დიდად აღელვებულია და იგიც ამასვე ითხოვს. ნოვაკოვიჩმა ინახულა მეფე და სკუპშჩინოს გადაყენება მოსთხოვა, მაგრამ მეფეზე დიდი გავლენა აქვთ მეფის მკვლელთ, რომელნიც შიშობენ, ახალი სკუპშჩინა ისეთ პირებისგან შესდგება, რომ ჩვენს მოქმედებას 29 მაისისას დაჰგმობს და გაჰკიცხავსო.

ვერხნედნეპროვსკი, 12 მაისი. „ვესტნიკ იუგა" გვატყობინებს, რომ კონსტანტინოვკის ბოთლების ქარხანაში 1200 მუშა გაიფიცა.

ეკატერინბურგი, 12 მაისი. ასოთ-ამწყობნი გაიფიცნენ. გაზეთები ნახევარ-ნახევარი გამოდის.

ევპატორია. ყველა დარგის მოსამსახურენი გაიფიცნენ: მუშები, პურის-მცხობელნი, მეეტლენი, წყლის მზიდავნი. სიწყნარეა. 1200 მუშა მშვიდობიანად არკვევს თავის მოთხოვნილებას. არავითარი უწესოება არ მომხდარა.

ბობრუისკი, 13 მაისი. ებრაელების წარმომადგენელთ საბჭოში წინადადება შეიტანეს, ქალაქის თვითმართველობაში მონაწილეობის მისაღებად უფლებასი უნდა გაგვითანასწოროთო.

რიაზანი, 13 მაისი. ერობის საგანგებო კრებამ 60000 მანათი გადასდო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლოძი, 13 მაისი. მუშაობა განახლდა ეიზერის, რისტერის, ბეტჰოლდის, დობრანიცკის, რანკეს, ფუქსისა და სხვა ქარხნებში.

ლონდონი, 13 მაისი. პეშავერიდან დეპეშით იუწყებიან, დირის ნაბობის ძმა პეშავერიდან გაიქცაო. ამბობენ, საზღვრის დამცველი ჯარები უნდა, რომ აჯანყდესო. ნაბობის ძმა, ურჩობის გამო, ინგლისის მთავრობის მიერ დატუსაღებულია პეშავერში.

პარიზი, 13 მაისი. პოლიციამ შეიპყრო ესპანელები, რომლებმაც მეფე ალფონსის მოკვლა განიზრახეს და ამ მიზნით ჩამოვიდნენ. რკინის გზაზე სასტიკი ზომებია მიღებული. საზღვაო მინისტრმა მინისტრთა საბჭოს აცნობა, ინდო-ჩინეთის დასაცველად გამზადებული ორი ეშელონი დანიშნულ ადგილს მარიამობისთვეში გაემგზავრებაო. საფრანგეთი, იტალია და ინგლისი აბაშეთში რკინის გზების საკითხის შესახებ უკვე შეთანხმდნენ.

ჩიტა, 13 მაისი. პრუსიის პრინცი ფრიდრიხ ლეოპოლდი დღეს საგანგებო მატარებლით მომქმედ ჯარში გაემგზავრა. სადგურზე დაუხვდნენ გუბერნატორი და სამოქალაქო და სამხედრო უწყების მოხელენი. ქალაქის მოურავმა პურ-მარილი მიართვა.

ევპატორია, 13 მაისი. მესამე დღეა, რაც აქ საერთო გაფიცვაა. მთავრობის ნებადართვით იმართება კრებები. მუშებმა და მოსამსახურეებმა შეიმუშავეს თავიანთი მოთხოვნილებანი და ქალაქის გამგეობას წარუდგინეს. სრული მშვიდობიანობაა.

პეტერბურგი, 13 მაისი. კომიტეტის სხდომაზე ორი მოსაზრება წამოაყენეს: 1) გაუქმდეს ყოველ-გვარი ცენზურა უცხოეთის სამეცნიერო წიგნებისათვის, დანარჩენი მწერლობა არსებულ საცენზურო დებულებას ექვემდებარებოდეს. 2) უცხოეთის მწერლობაც იმავე ცენზურას უნდა ემორჩილებოდეს, რაც რუსეთისათვის არისო, რამდენსამე ხანს საცენზურო კომიტეტში წარდგენილი იყოს და, უკეთუ საწინააღმდეგო რამ გამოდგა, სამართალში მიეცეს ავტორებიო. სხდომამ ვერაფერი დაადგინა და ამის გადაწყვეტა შემდეგ სხდომისათვის გადასდო.—დღეს შორეულ-აღმოსავლეთში გაემგზავრა ვიცე-ადმირალი ბირილიოვი.

რიაზანი, 13 მაისი. რანენბურგის მაზრის სოფ. პრატოვკის ასი გლეხი დაეცა ვაჭარ ბაკიტონის ბინადრობას, ცეცხლი მისცეს სახლებს და გაანადგურეს მისი ქონება; მოჰკლეს ჩაფრების უფროსი. დასამშვიდებლად ჯარი გაგზავნეს. გუბერნატორი და პრალმდებელი გაემგზავრნენ ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლად.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

14 მაისი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა მის იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელზე, 12 მაისის თარიღით: გენერალ მიშჩენკოს უფროსობით ერთმა ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა, რომელიც შესდგებოდა კავკასიისა და ზაბაიკალის ყაზახების დივიზიის ნაწილებისაგან, 4 მაისს მტრის მოწინავე რაზმებს სამხრეთით დაახვეწინა და სინლუნჯუნთან მივიდა. 5 მაისს მოწინავე რაზმები, თუმცა მტერს კაპინსიანიდან მაშველი ჯარი მოუვიდა, ბრძოლის შემდეგ ფაკუმინის გზაზე გავიდნენ და ტანისამოსის საწყობი გადასწვეს. ჩვენ გავაფუჭეთ ტელეგრაფი კარგა დიდს მანძილზე. ხუნხუზთა დიდი რაზმები ერთს ჩვენს რაზმს გარს შემოერტყნენ, მაგრამ ჩვენებმა ზოგი გასწყვიტეს, ზოგიც გაჰფანტეს. 6 მაისს რაზმი გავიდა შიფუძის გზაზე, აქ მაღლობებზე, ფაკუმინის სამხრეთით, იდგა მტერი რამდენიმე ტყვიის მფრქვეველით. თუმცა მტერს პოზიცია ძალზე გამაგრებული ჰქონდა და ზარბაზნებით იცავდნენ მას, ჩვენმა რაზმმა მაინც იერიში მიიტანა. ორი როტა სრულიად გასწყვიტეს, ერთი როტა კი ყველა აფიცრებით ტყვედ წამოიყვანეს. ამას გარდა, წაართვეს ორი ტყვიის მფრქვეველი. ერთს ადგილზე იაპონელების მოკლულთა ასზე მეტი გვამი ერთად ეყარა. ამის შემდეგ ჩვენ შეძლება მოგვეცა, გავსულიყავით გზაზე, რომელიც ლიაოხეს მარჯვენა ნაპირას მისდევს; შიფუნძის მახლობლად გავანადგურეთ მტრის ქარავანი, რომელიც გაჭიმული იყო შვიდ ვერსზე და მიჰქონდა ბრინჯი, ჩაი, კონსერვები და საკვები. რაზმი დაბრუნდა უკან და გზაზე გაჰფანტა ხუნხუზთა ბრბო. ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 234 იაპონელი, მათ შორის 5 აფიცერი.

ბერლინი, 13 მაისი. «კელნიშე ცეიტუნგ»-ის კორესპონდენტები იუწყებიან, კუროკის არმიის წინსვლა შეჩერდაო. ალბად იაპონელებს უნდათ, თავი ერთად მოიყარონ.—გუშინ იაპონიის დრაგუნთა ერთმა რაზმმა ვეილუნჩანთან რუსის მოწინავე რაზმების წრე გაარღვია, ორი კაცი ტყვედ წამოიყვანა და მიიმალა.

ტოკიო, 12 მაისი. რუსის რწმუნებულმა პეკინში მთავრობას მოსთხოვა დაუყონებლივი პასუხი ნოტაზე მონგოლიის ნეიტრალიტეტის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა, ამ ტერიტორიაზე რუსის ჯარებს გავგზავნითო.

ლონდონი. 13 მაისი. (რეიტერი). ჩრდილო ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ ჩიფუსა და შანჰაის შორის ტელეგრაფის გადაცემა შეჩერებულია. დეპეშის გადაცემა მხოლოდ ჩინეთის სანაპირო მართულ-ბმულით შეიძლება.

ჩიფუ, 13 მაისი. დღეს მოსულ იაპონიის ყველა გემები უცდიან ახალს განკარგულებას.

ტოკიო, 13 მაისი. დობროვოლნი ფლოტის გემთა შესვლა შანჰაის სამარი ხერხით, ამბობენ, აქ რუსებსა სურთ იაპონიის ფლოტის ყურადღება სხვა მხარეს მიაქციონო.

მინისტრებმა კომურამ და სანემ სიტყვა წარმოსთქვეს ასოციაციათა პალატაში. კომურამ სთქვა: ომი დიდხანს გაგრძელდება, კომერციულმა წრეებმა დახმარება უნდა გაუწიონ იაპონიას მიზნის მისაღწევად. ომის მერე დიდი მომავალი ეგულის, კომერსანტები უნდა შეეცადნენ მაშინ აღებ-მიცემობის განვითარებას. კომურა იმედოვნებს, რომ უცხოეთის ფული იაპონიისკენ დაიძვრება და ურჩევს მშენებლად, ხელი შეუწყონ ამას ნდობის დამსახურებითაო. სანემ მადლობა განუცხადა კომერციულ შეძლებულ წრეებს ომში ფულით დახმარებისათვის.

შანჰაი, 13 მაისი (ლლოიდ). რუსეთის გემები „ვორონეჟი", „ვლადიმირი", „მეტეორი" და „კუროინია" პირდაპირ დგანან. იუწყებიან, რომ რუსეთის რამდენიმე გემი სედელის კუნძულებიდან შეუმჩნევიათ.

ცინტაუ, 13 მაისი. (რეიტერი). გერმანიის ესკადრა ცინტაუში ყოველ შემთხვევისათვის ემზადება, რადგან როჟესტვენსკის ჩრდილოეთისკენ აუღია გეზი და ბალტიის ესკადრის ერთი ნაწილიც ვუზუნის მახლობლად უნახავთ.

(დანარ. დეპეშები იხილეთ მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდგან

გრაფ ოკუმას აზრი ზავისა და საფრანგეთის ნეიტრალიტეტის შესახებ. „ქურნალ"-ის სამხედრო კორესპონდენტის ბ-ნის ნოდონისთვის იაპონიის მინისტრად ნამყოფს გრაფ ოკუმას უთქვამს: რუსეთის ესკადრის ყოფნამ ინდო-ჩინეთის წყლებში საერთაშორისო დამოკიდებულება მეტად გაამწვავა. იაპონელების თადაქეირობა იმით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, საფრანგეთი და იაპონია ძველადვე მეგობრები იყვნენ და, მეორეც—1895 წელს, ჩინეთ-იაპონიის ომის გათავების შემდეგ, საფრანგეთის ადმირალი ბომონი არ შეუერთდა გერმანიისა და რუსეთის ესკადრებს, რომელთაც იაპონიის ფლოტის განადგურება უნდოდათ. ინდო-ჩინეთი რომ საფრანგეთს არ ეკუთვნოდეს, იაპონიის ხალხი არაფერს არ დახედავდა და მთავრობას უკიდურეს ზომების მიღებას მოსთხოვდა. ამჟამად იაპონიის მთავრობას ძალიან უნდა, რომ ომში არავინ ჩაერიოს, და საფრანგეთიც მოვალეა, უფრო გარკვეული პოზიცია დაიჭიროს, თორემ იაპონიის ხალხს მოთმინება გამოელევა და თავის თავზე თვითონვე იზრუნებს. საფრანგეთი, როგორც სანეიტრალო სახელმწიფო, მოვალე იყო რუსეთის ფლოტი თავის ნავთ-სადგურებში არ შეეშვა და მისთვის ხელი არ მოემართა. რუსეთი ამჟამად ისეთ დღეშია, რომ ადვილად შეუძლიან საფრანგეთი ომში ჩაითრიოს.

რაც შეეხება ომსა და ზავს, ოკუმას უთქვამს:

იაპონიამ გაიმარჯვა. ამიტომაც ზავის ჩამოგდების ზრუნვა და შერიგების პირობების შემუშავებაც იმის საქმე არ არის და არც იქნება იმ დრომდის, სანამ რუსეთი არ გამოტყდება და არ აღიარებს, რომ იგი დამარცხებულია. იაპონია არ დათანხმდება ისეთ ზავს, რომელიც მხოლოდ დროებითი მორიგება იქნება და საქმეს ისე არ დაიჭერს, რომ რამდენისამე წლის შემდეგ რუსეთმა შესძლოს და იაპონიის ხელმძღვარედ აუტეხოს ომი. არა, იაპონია ამას არ იზამს! იაპონია შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დარაჯი უნდა იყოს. ჩვენ მარტო კორეია, ლიაოდუნი, პორტ-არტური და სახალინი ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ვლადივოსტოკი—თუ ეს ქალაქი რუსეთს შერჩა—მხოლოდ სავაჭრო ქალაქი იყოს და არა ციხე.

ვლადივოსტოკის ფორტები, ბატარეები, თხრილები და სანგრები დედამიწის პირიდან უნდა აღიგავოს. რუსეთს მანჯურიაში ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეს, როგორიც ნიკოლოზ 1-ის დროს ჰქონდა, ე. ი. საზღვრად ამურის მარჯვენა ნაპირი უნდა იყოს.

იაპონიის საზოგადოებრივი აზრი დაჟინებით თხოულობს კონტრიბუციას. ზოგიერთნი ამბობენ, იაპონიას ფული მალე გამოელევაო. ეს ტყუილია. ის ფული, რაც ამჟამად იაპონიას აქვს, სამ წელიწადს მაინც ეყოფა. იაპონიას რომ მართლა ენდობიან და იმის ფინანსიური ძალაც სწამთ, იმით მტკიცდება, რომ, რაც უფრო გვიახლოვდება როჟესტვენსკი, იაპონიის ფასიან ქაღალდების ფასიც უფრო და უფრო მატულობს. ყველაზე საროზულად როჟესტვენსკის ადმ. ტოგო უყურებს, რადგან იმან მშვენივრად იცის თავის მოწინააღმდეგის ფასი და ძალა (ს. ო.)

რუსის ტყვეები იაპონიაში. ამას წინად ერთი დეპეშა იუწყებოდა, იაპონიაში ამჟამად 60 ათასი რუსი ტყვეაო; მეორე დეპეშა კი იტყობინებოდა, 60 კი არა, 71 ათასიაო. ტყვეთა რაოდენობის შესახებ „სლოვო" სწერს: იაპონიის მთავრობის-მიერ გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, რომ 28 თებერვალს, ე. ი. მუკდენის ბრძოლამდე, იაპონიაში იყო 38,358 რუსი ტყვე. ამ სიაში შეტანილი არ არის სამი გენერალ-ლეიტენანტი, ორი გენ.-მაიორი, ერთი კონტრ-ადმირალი და ის ტყვეები, რომელნიც იმ დროს გზაში იყვნენ. იაპონური გაზეთ „ნიში-ნიში"-ს ანგარიშით, იაპონელებმა მუკდენთან 44,863 რუსი სალდათი და 473 აფიცერი დაატყვევეს. ამ რიცხვს უნდა მივუმატოთ ის ტყვე ექიმები და წითელ ჯვრის მოსამსახურენი (500-მდე კაცი), რომელნიც იაპონელებმა გაანთავისუფლეს, და პორტ-არტურში დატყვევებული 664 აფიცერი, ამდენივე სალდათი და ათი-ათასამდე დაჭრილი და ავადმყოფი, რომელნიც იაპონელებმა შემდეგ რუსეთში გამოუშვეს. ამრიგად, იაპონელებს ზოგიერთი ოფიცერი და დაჭრილები რომ არ გაენთავისუფლებინათ, ახლა იაპონიაში ასი ათასამდე ტყვე რუსი იქნებოდა, ახლა კი 83,694 კაცია (ს.).

ბალტიის მეოთხე ესკადრა. კილიდან „ბერ. ტაგ."-ს ატყობინებენ: ამ ცოტა ხანში აქ ბალტიის ესკადრა უნდა ჩამოვიდეს. ეს ესკადრა ხუთ გემისგან და 8 ნაღმოსნისგან შესდგება. ერთადერთი კარგი გემი—„სლავა"—ამ წელსაა აშენებული, დანარჩენი გემები საკმაოდ მოხუცებულნი არიან: თითო მათგანი 17—18 წლისა იქნება. ამ ესკადრაზე სულ 2800 კაცი იქნება. ესკადრა შორეულ აღმოსავლეთს აგვისტოს გასულს ჩავა, ე. ი. იმ დროს, როცა როჟესტვენსკის ესკადრის ბედი გადაწყვეტილი იქნება (ს. ო.).

პრინც პრისუვაგის მოგზაურობა ევროპაში. იაპონიის იმპერატორის ნათესავი პრინცი პრისუვაგი ამჟამად საფრანგეთში იმყოფება და, საკაა, გერმანიასა და ინგლისსაც ეწვევა. პრისუვაგის მოგზაურობას ევროპის დიპლომატები უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ. ამის შესახებ. „ნოვ. ვრ."-ს კორესპონდენტი ლონდონიდან დეპეშით იუწყება: „პრისუვაგას ბერლინში დიდის პატივით დაუხვდებიან. გერმანიას უნდა იაპონია დაარწმუნოს, რომ ინგლისი ცუდი მოკავშირეა იაპონიისა, გერმანია კი კარგი იქნებაო. ინგლისს ამისი, ცოტა არ იყოს, ეშინიან, და ამიტომ პრისუვაგას უფრო მეტს ბრწყინვალებითა და პატივისცემით უპირობენ დახვედრას, ვიდრე გერმანელები. პრისუვაგამ ინგლისის მეფეს იაპონიის იმპერატორის წერილი უნდა ჩააბაროს და ისეთ საქმეზე მოელაპარაკოს, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ზავის ჩამოგდების დროს. ერთის სიტყვით, ამერიკა, იაპონია, ინგლისი და გერმანიაც რუსეთს რაღაც მახეს უგებენ. ინგლისელების სიტყვით, ამ მახის დაგებაში საფრანგეთიც მიიღებს მონაწილეობას (ნ. ვ).

ახალი ამბავი

✦ **ტფილისის ქალაქის მოურავმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ნახიჩევნის ქალაქის მოურავს და ნახიჩევნის ხანს:** „ღრმად შეშფოთებულნი იმ ამბებით, რაც ამჟამად ნახიჩევანში ხდება, გიგზავნით, რაც კი წმინდად მიგაჩნიათ, და გემუდარებით, გავლენა იქონიოთ ნახიჩევნელთა დასამშვიდებლად და ძმათა შორის მკვლელი ცხოვრების დასასრულებლად. ტფილისი მოუთმენლად ელის თქვენს სიმშვიდის პასუხს. გულით გვჯერა, რომ ნახიჩევნელები დაუჯერებენ თქვენს კეთილშობილურ რჩევას". ამ დეპეშაზე ტფილისის მოურავმა შემდეგი პასუხი მიიღო: „ჩვენ ყველაინ ზომებს ვხმარობთ დასამშვიდებლად. იმედი გვაქვს, ერევნიდან რომ ბატალიონი ჩამოვა, წესიერება დამყარდებაო".

✦ ნახიჩევნიდან ტფილისში 1,500 **გამოქცეულ კაცამდის ჩამოვიდა.**

✦ ძველ-ნახიჩევანის რკინის გზის ლიანდაგზე, 24—135 ვერსზე **მომუშავე სომეხ და თათარ მუშებმა**, ნახიჩევანში მომხდარ უწესრობის გამო, საქმიდან ხელი აიღეს და თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ („მშაკი").

✦ ქალაქის მოურავმა შემდეგი დეპეშა **მიიღო ნახიჩევნელთა ერთის ჯგუფისაგან:** „ეს მესამე დღეა, რაც ნახიჩევანში სომხებს თათრები ელეტენ. ძარცვა-გლეჯა, ცეცხლის წაკიდება გაძლიერდა და უსაზღვროს, უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. მოკლულთა, დაჭრილთა და დამწვარ სომეხთა რიცხვი დიდძალია. თათარი მხოლოდ ორი კაცია მოკლული. ამ საშინელებამ ქალაქიდან სოფელსაც უწია. სოფლად სომხები მეტად უმწეონი არიან. მოელიან დიდ-ძალ თავდასხმას სპარსეთის ქურთებისაგან; გემუდარებით ნახიჩევანში მცხოვრებნი, ყოველივე ზომები მიიღოთ ჩვენის ოჯახების დასაფარავად." ქალაქის მოურავმა დეპეშითვე უპასუხა: „დღეს, ნამესტნიკის განკარგულებით, ნახიჩევანში წამოვა შეიხ-ულ-ისლამი. სულითა და გულით ვუსურვებთ იმას და თქვენ ყველას, რომელთაც ხალხისთვის კეთილი გინდათ, სრულ გამარჯვებას თქვენს ჰუმანიურ დაწყებულებაში".

✦ **ბაქოდან გვწერენ: პარასკევს, 13 მაისს, დაასაფლავეს მოკლულნი:** გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე და მისი მცველი. გუბერნატორის სახლთან დილიდანვე ქალაქის ყველა კუთხიდან აგროვებულმა ხალხმა მოიყარა თავი. ყვავილებითა და გვირგვინებით შემკული კუბო სასახლიდან უფროსმა მოხელეებმა გამოასვენეს. იმ ადგილს, სადაც გუბერნატორი იქნა მოკლული, მცირე პანაშვიდი გადაიხადეს, შემდეგ მამასახლისებმა ასწიეს მაღლა კუბო და სასაფლაოსკენ გაემართნენ. პროცესიის წინ მიუძღოდა ყველა ნაციის სამღვდელოება, გარდა სომხისა. განსვენებულის საფლავზე რამდენიმე სიტყვა ითქვა.

✦ როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, 12 მაისს, სოფელ ფცაში (გორის მაზრა), დღისით თავისსავე სახლში **მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე თავ. ლევან ამირეჯიბი.** მოკლულის სახლთან მისულა 3 ცხენოსანი, სოფლელის მცხოვრებნი, ერთი ოსი, ერთი სომეხი და ერთიც უცნობი და თავ. ამირეჯიბისთვის ბერდანის თოფი მოუთხოვიათ. ამირეჯიბს უარი გამოუცხადებია. მკვლელებს სამჯერ უსროლიათ თოფი და იქვე მოუკლავთ.

✦ გორის მაზრის უფროსმა აცნობა გუბერნატორს, **ქართლის საერობო სადრაგუნო რაზმმა შეიპყრო** კავკასიის საარტილერიო ბრიგადის გაქცეული ჯარის კაცი, სოფ. ხვერინის მცხოვრები პეტრე გიორგის ძე **დარჩიშვილი**, რომელსაც შეედგინა მთელი რაზმი და მაზრაში ხან ერთ და ხან მეორე მემამულეს ეწვევოდა და თოფ-იარაღს სთხოვდა.

✦ ტფილისიდან „რუსსკოე სლოვო"-ს ატყობინებენ: ქალაქის თვით-მმართველობამ კავკასიის **ნამესტნიკს წარუდგინა ვრცელი მოხსენება კავკასიის უმთავრეს საჭიროებათა შესახებ.** ამ მოხსენებაში, სხვათა შორის, პრესსის შევიწროების შესახებ საკითხს კარგა დიდი ადგილი უჭირავს.

✦ როგორც კავკავის ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, უკანასკნელ ხანებში **ჩეჩნებს, ოსებსა და ყაზახთა შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავებულა.** 23 აპრილს, ღამე, თითქოთ მოუკლავთ გროზნოს რეზერვის ბატალიონის ჯარის-კაცი, ეგორ ამელიკი, ვოზდვიჟენსკი სლობოდაში მძიმედ დაუჭრიათ იმავე ბატალიონის ჯარის-კაცი ტერენტი კარპიში.

✦ 25 აპრილს, ახალციხეში, ნალისა და ლურსმნის ქარხანაში, რომელიც ეკუთვნის ა. მელქონიანს, **გაფიცულან მუშები** და სამუშაო ხელფასის მომატება მოუთხოვნიათ. ქარხნის პატრონმა მუშების მოთხოვნილება დააკმაყოფილა. დაუწყიათ მუშაობა. იმავე დროს ოქრომჭედლების ქარგლებს თხოვნით მოუმართავთ, სამუშაო დღის სამი საათი დააკლეთო. ესენიც დაუკმაყოფილებიათ („მშაკი").

✦ **ჩვენ მოგვივიდა გაზეთი „ბაქო", ნაცვლად „ბაკინსკია იზვესტია"-სა**, რომელიც ბაქოს დრ. გენერალ-გუბერნატორის თავ. ამილახვრის განკარგულებით დახურულ იქნა.

✦ ბათუმიდან გვატყობინებენ: ხმა დადის, **„მანთაშევისა და ამხ." ქარხანა მუშაობას შეაჩერებს**, თუ აქციონერთა კრება საზარალოდ დაინახავს მუშაობის განგრძობასაო. აქციონერთა კრება ამ დღეებში მოხდება.

✦ ძმ. თამამშევების ქარვასლაში სახაზინო პალატის განსაკუთრებულმა კომისიამ რევიზია მოახდინა და არც ერთ ვაჭარს გარდა, ერთი ორისა, **სათანადო გილდის მოწმობა არ აღმოაჩნდა.**

✦ გუშინ, 14 მაისს, სამხედრო სობორში, ხელმწიფის დაგვირგვინების დღის, გადახდილ

ფელეტონი

სამი წერილი

ერთმა ქალმა სამი წერილი ჩაუშვა ფოსტის ყუთში. სამივე წერილი ამავე ქალის ხელით იყო დაწერილი, ერთსა და იმავე დროს, ერთის განზრახვით მხოლოდ სხვადასხვა პირებთან.

წერილი პირველი.

მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ, ჩემო სიცოცხლევ! მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი გული, გრძნობა, გონება. მხოლოდ შენ, ერთად ერთმა, შესძელ ის, რასაც მე არ მოველოდი! მე ჩემი თავი უძლეველი მეგონა, მე ვერ წარმომედგინა, თუ ჩემს სიცოცხლეში შევხვდებოდი იმისთანა ადამიანს, რომელიც ასე მიიზიდავდა, წარიტაცებდა ჩემს არსებას, რომელიც გახდებოდა ჩემთვის სათაყვანებელ კერპად, სალოცავ ღმერთად, ჩემის სიცოცხლის ქვა-კუთხედად, გულის ჩანგად, რომელზედაც თავდავიწყებული სიყვარული განთიადის ბულბულივით აწკრიალებს ტრფობის ჰანგებს!

დიაღ, ჩემო და მხოლოდ ჩემო გიორგი! ოჰ, ნეტა შემეძლოს, რასაც გულში ვგრძნობ, სიტყვითაც გამოვსთქვა, ნეტა შემეძლოს, ის ტკბილი წუთები, რომელიც ჩვენ ერთად გაგვიტარებია, საუკუნოებად გადავაქციო; მაგრამ მე შემიძლიან ერთი და კიდეც შევიძელ: მე მოვრთე შენი სახელი ჩემს გულში შენ-მიერ აფეთქებულ ყვავილთა გვირგვინით. ეს ყვავილები შენ დასთესე ჩემს გულის წიაღში და, აჰა, ისინიც გადაიფურჩქნენ, ჩემო სიცოცხლევ!

სიცოცხლევ-მეთქი! არა, სიცოცხლეზე მეტო, თვით უკვდავებავ, თვით უბადლო სამოთხევ!

აი, ჩემო გიორგი, შენი წერილის პასუხი. მე კითხები: „მართლა გიყვარვარ, თუ არაო".

ოჰ, ნუ თუ სხვა გულს შეუძლიან ამოსტყორცნოს ეს სიტყვები, თუ შენ არა, განა სხვას ვის უნდა შევწირო ჩემი სიცოცხლე? მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ, ჩემო უკვდავებავ!

ნუ იფიქრებ, შემყვარებოდე ანგარიშ-მიუცემლად, ნუ იფიქრებ, არ დავკითხებოდე ჩემს გულს, გონებას. არა, დავეკითხე, დავეკითხე და მართლა დავრწმუნდი, რომ შენ ღირსი ხარ სიყვარულისა. არ გეგონოს, მარტო შენს გარეგნობას მოვეხიბლე, ჩემო ლამაზო, არ გეგონოს მხედველობაში მქონდეს შენი სამსახური, კარიერა. არა! ყველა ეს მე ვერ მიმიზიდავდა, რომ შენ არა გყვარებოდა სამშობლო, რომ შენ არ იყო მზად შესწირო მას შენი თავი, გული, გრძნობა, გონება! თუ ეს არა, მე შენ არ მეყვარებოდი. არ შემიყვარდებოდი იმიტომ, რომ შეუდრეკელი გიყვარდეს ადამიანი, რომელიც შენ არ თანაუგრძნობს შენს უწმინდესს აზრებში, უწმინდესს გრძნობაში, და ან კი რომელიც იმაზე უწმინდესი გრძნობა, როგორც სამშობლოს სიყვარული.

აი, სწორედ ამ საერთო გულის ბგერამ შეათანხმა ჩემი არსება შენთან, ამ საერთო ღმერთმა შეაერთა ორი სიცოცხლე ერთად. რა არის გარეგნობა ადამიანისა, რა არის მისი ჩინი, მენდლები, თუ იგი არ არის აღჭურვილი პატრიოტული ცეცხლის ალით, თუ იგი არ იქნება მზად შესწიროს თავი ტანჯულს, წამებულს სამშობლოს!

მე მძულს ის ქალები, რომელნიც მიჰყვებიან ცოლად უხულ-უგულოს, სამშობლოსათვის გამოუსადეგ ყმაწვილებს!.. შენ კი სულ სხვა ხარ, ჩემო გიორგი!

მე ახლაც ნათლად მიდგა თვალწინ შენი ლმობიერი, ცრემლით აღსავსე თვალები, როდესაც მე და შენ სამშობლოს პირქამაზე ჩამოვცდებოდით ხოლმე ლაპარაკს. მე ახლაც ვხედავ შენს ნაღვლიან სახეს, მოკუმულ ხელებს, როდესაც სამშობლოს მტერს შევხებოდით, მე ახლაც მესმის შენი მგზნებარე ხმა კრებებზე, როდესაც იწვევდი ხალხს სამშობლოს დასახსნელად, მისთვის თავის შესაწირად!

აი, ჩემო გმირო, რომ გააჩინა ჩემს გულში შენდამი სიყვარულის დაუშრეტელი წყარო. მე მზადა ვარ შენთან ერთად ვემსახურო მას, რაც, როგორც შენ მწერე, გაგიხდია შენს სათაყვანებელ საგნად.

სამშობლო! ოჰ, რა დიადია ეს სიტყვა, როგორ ტკბილად ხვდება ყურს ამ სიტყვის ყოველი მარცვალი.

მაშ ასე, ჩემო გიორგი, გელი, გელი მოუთმენლად! მე შენი ვარ და მინდა ყველამ შენი დამიძახოს, და ეს, ხომ იცი, შეიძლება მაშინ, როდესაც მე და შენ წარვსდგებით საზოგადოების წინაშე, როგორც გონიერი ცოლ-ქმარი.

მე, როგორც შენ, არა მწამს ის ცრუპენტელა დემოკრატები, რომელნიც სულ სხვა თვალით უყურებენ ქორწინებას. მე, როგორც შენ, მძაგს მათი კოსმოპოლიტობა. მე, როგორც შენ, მეზიზღება მათი აურ-ზაური ჩვენს სამშობლოში. მე, როგორც შენ, მძაგს აგრეთვე ჩვენი ის ბურჟუები, რომელთაც მხოლოდ ფული გაუხდიათ სათაყვანებელ კერპად და დავიწყებიათ თვისი ქართველობა!

არა, მე მათთან საერთო არა მაქვს-რა.

ჩემი გული, გრძნობა, გონება, სიცოცხლე, სიყვარული—მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს, ჩემო გიორგი; გელი 23 მაისს.

გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი.

გკოცნის შენი და მხოლოდ შენი ელენე.

12 მაისი
1905 წ.

P. S. მართლა, კინაღამ დამავიწყდა: გატყობინებ, რომ ძველი ქართული ლიტერატურა სულ მთლად გადავიკითხე, ახალს, რასაკვირველია, ფეხდაფეხ მივდევ. ახ, როდის მეღირსება ერთად ვკითხულობდეთ ყოველსავე ამას.

გელი 23 მაისს.

კიდევ შენი ელენე.

წერილი მეორე:

ძლივს! დიდის მოლოდინის შემდეგ! არა, ხომ იცი, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ლევან, რომ ერთი დღეც ჩემთვის საუკუნეს შეადგენს და შენ კი ერთი კვირა მალოდინე, ვიდრე წერილს მაღირსებდი! ნუ, ნუ მტანჯავ, გენაცვალე, ვინ იცის, ამ ერთის კვირის განმავლობაში რა არ ვიფიქრე, რა არ წარმოვიდგინე. და განა შემეძლიან კი არ ვიფიქრო, განა შემეძლიან, თუნდ ერთის წუთით, მოვშორდე ფიქრიან, გულიდან? მაშინ ხომ გამშორდებოდა თვით სიცოცხლეც. მაშინ ხომ მოჰკვდებოდა თვით გული, მომესპობოდა აზროვნებაც. არა, ჩემი გული მარტო შენთვის სცემს, შენ რომ არ იყო, მოისპობოდა ჩემთვის ჰაერი, დამცირდებოდა მზე და ქვეყანა საშინელ სამარედ გადამექცეოდა. შენ რომ არ იყო—აღარ ვიქნებოდი მეც.

დიახ, საშინელი შავი ფიქრები ირეოდა ჩემს გონებაში. მე მისი კი არ მეშინოდა, რომ დაივიწყებდი შენს ელენეს, არა, სრულებითაც არა, ამას ვერ-კი წარმოვიდგენ, მე მეშინოდა შენი მეტოქე ახლა, ამ საზიზღარ არეულ დროში, როდესაც ყოველივე შენისთანა შეძლებული პატიოსანი ადამიანი განსაცდელშია, როდესაც ყოველ წუთს მის სიცოცხლეს, მის ქონებას საფრთხე მოელის. იცოდე, რომ შენი საერთოს ჩემი საერთოა და შენი განსაცდელი—ჩემი ჯოჯოხეთი! გაუფრთხილდი, ჩემო ლევან, შენს თავს!

ხომ გიყვარვარ?!

იწერები: „მუშები გაიფიცნენ, გლეხები აირივნენ. მოვალეები ფულს აღარ იძლევიან, აღარ ვიცი, როგორ გავართვა თავი ამდენს საქმესაო". მართალი ხარ, ჩემო ლევან, შენ ამხანაგი გჭირია. ამხანაგი, რომელიც გაიზიარებს შენს მწუხარებას, შენს სიხარულს...

„ჩემი დები მხოლოდ ქეიფსა და დროს გატარებაში ალამებენო". მე ნუ შემადარი შენს დებთან; მე მიყვარს გაფრთხილება, დაზოგვა. ვიცი, რომ შენც უფრთხილდები შენს ქონებას, შენს სიმდიდრეს, მაგრამ რას გახდება ერთი ადამიანი იმ საზიზღარ პატრიოტებთან და თავზე ხელ-აღებულ დემოკრატებთან! სოფელში გლეხები აიღელვეს, ქალაქში მუშები, შენ კი ორივეგან საქმე გაქვს. შენ გძაგს ისინი, მეზიზღება მეც. შენ უკლავდები ომით, იცავ პატიოსნებით შეძენილ ქონებას, მეც მინდა მონაწილე გავხდე ამ ბრძოლაში, თუ სიტყვას არ დაარღვევ...

კიდევ გეხვეწები—გაუფრთხილდი შენს თავს, იცოდე, რომ შენთვის ჰგნებს მეორე გული, თუმცა შორიდან, მაგრამ ეს შენი ბრალია... არც კი შენი ბრალია, შენ დინჯი კაცი ხარ, ხომა, სწორედ საქმეს... მე მომწონს ეს სიდინჯე და მიტომ არც გემდურები. გემდურები-მეთქი... განა შეუძლიან ელენეს ლევანის სამდურავი? გული სალ-კლდესავით გადიქცევა წინ ყოველსავე სამდურავ სიტყვას. მაშინვე პირზე შემშრება.

გელი, გელი მოუთმენლად ამ თვის 29-ში, როგორც შენ იწერები.

გავათავოთ საქმე...

მამა წინააღმდეგი არ არის, დედა მოკითხვას გითვლის და მე კი... მე კი შენს შესახვედრად ვემზადები.

ოხ, რა ძნელია მოლოდინი!

ასე, ჩემო ლევან, გელი, რომ აღარ გავშორდეთ ერთმანეთს, რომ მხოლოდ შენ ერთს შემოგწირო, ჩემი სიცოცხლე, ჩემი გრძნობა, გონება, სიყვარული, გული, ჩემი არსება, ჩემო და მხოლოდ ჩემო ლევან!

შენი და მხოლოდ შენი ელენე.

12 მაისი
1905 წ.

P. S. მართლა, ამ დღეებში მანდედ წამოვიდა თავის ჯარით ერთი ჩემი ნაცნობი აფიცერი. მე ვსთხოვე დახმარება გაგიწიოს.

რუსეთიდან ახალი ნოტები მივიღე, ნაღვლიანი იზვითადდ ვუკრავ, ვუკრავ და ვუმღერ შენს აჩრდილს!

კიდევ შენი ელენე.

წერილი მესამე.

„ძმავ, მეგობარო, მაშვრალ-ტანჯულო, ვინც გინდა იყო, ნუ გაიტეხ გულს",—აი, სიტყვები, ჩემო ვანო, რომელიც ამჟამად ჩამჩურჩულებს ყურში, აი სიტყვები, რომელიც მანუგეშებს მე. იმიტომ, რომ განუგეშებს შენ და იმ „მაშვრალ ხალხს", რომელთათვისაც შენ თავი გაგიწირავს.

წინ! მეგობარო, წინ! არ შედრკე და არც იფიქრო მაქეს, რომ შეგვრჩდე. მაშვრალთა კვნესა ითხოვს მსხვერპლს და მსხვერპლი კი შენა ხარ! მაგრამ მარტო შენ არა, ჩემო მეგობარო, ჩემო მოუშვებულო, ვანო! იცოდე, რომ შენთანაა ელენეც, ისიც იმავე აზრებით აზროვნობს, როგორათაც შენ, ისიც იმავე სიმწუხარით სწუხს, რომლითაც შენ და კვნესის იმავე კვნესით.

დიახ, შენ, მართალი ხარ, არაფერი ყოფილა შეგნებულ ადამიანისთვის პირადი ბედნიერება, თუ კი მის გარშემო ცრემლი იღვრება. გვთანხმება, რომ არც მოისპობა ეს ცრემლი, ვიდრე დღევანდელ ცხოვრების პირობები არ დაინგრევა. ამისთვის კი, როგორც ამბობ, ბრძოლაა საჭირო, და მეც მინდა შენ გვერდში ამოგიდგე, იმისთვის, რომ მიყვარხარ შენ, მიყვარს ეს დიადი საქმე.

ზიზღი ჩვენს პატრიოტებს, ზიზღი ჩვენს ბურჟუაზიას, ზიზღი მათს პირადს ინტერესებს.

მოვა დრო და მათი სახსენებელი აღიგვება დედამიწის ზურგიდან,—ამას მოწმობს ამოზარდიბული ხმა დღევანდელ პროლეტარიატისა.

შენმა წერილმა მანუგეშა, თუმცა ამატირა კი. მაგეშა, რომ არ დავეწრებოდი, ამატირა იმ საშინელმა სურათმა, რომელსაც ამიწერ შენ... წყეული იყოს იარაღი! სისხლი და ცრემლი, არეული ერთმანეთში!

ვერ წარმომიდგენ, როგორ ვიტანჯები, რომ შენთან ერთად არა ვშრომობ. შენი წერილის ყოველიუვე სიტყვა მხოლოდ პატიოსნებაა და, არა მგონია სცდებოდეს შენს სიმტკიცეში ელენე. არა მგონია, შენი პირობა მხოლოდ წუთიერი აღმაფრენა იყოს. მართალია, ჩემი მშობლები წინააღმდეგნი იქნებიან, მაგრამ რას დავეძებ მათ! სასიცოცხლო იქნება, მათი დახავსებულს აზრებს ანგარიში გაეუწიო. მე ვერ შემაშინებს სიღარიბე, შრომა, ტანჯვა; ოღონდ შენ მყავდე გვერდით და მეტის მოთმენაც აღარ შემიძლიან!

ქმნა წირვა და პარაკლისი, რომლის შემდეგ გაიმართა პარადი. სობოროში შეკრებილი იყვნენ სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელნი. პარადს დაესწრო კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

✦ ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების ცალკე კომისიამ განიხილა პროექტი ბალის გამართვის შესახებ და დაადგინა: ახლავე **გამართოს ბალი** ქალაქ გარედ, სუფთა ჰაერზე.

✦ **მასწავლებელ ქალთა საზოგადოების წლიური კრება** მოხდება კვირას, 15 მაისს, საღამოს 5 საათზე, ქალების პირველ გიმნაზიის დარბაზში. არაწევრთაც შეუძლიანთ დასწრება. კრებაზე აღძრული იქნება ბევრი საყურადღებო კითხვები.

✦ 15 მაისს, დილის 11 საათზე, გაზეთ „ტიფლისტ."-ის რედაქციის სადგომში დანიშნულია **კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება**. ამ კრებაზე, გამგეობის წევრთა გარდა, მოწვეულნი არიან მათი კანდიდატებიც.

✦ დღეს, 15 მაისს, ტფილისის საზაფხულო საკრებულოში, „**უფასო და იაფ-ფასიანის სასადილოების საზოგადოების**" სასარგებლოდ, გამართული იქმნება „გაზაფხულის სეირნობა" საქველ-მოქმედო ბაზრითურთ. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე. ფასები დიდრონებისთვის 30 კაპეიკი. ყმაწვილებისა და მოწაფეებისთვის 20 კაპეიკი. იმედია, საზოგადოება ბლომად დაესწრება.

✦ **ფარმაცევტების გაფიცვა ჯერაც არ შეწყვეტილა.** სულ გაფიცულია 160 კაცი.

✦ ხუთშაბათს, 12 მაისს, **ორთაჭალაში კრება ჰქონდათ რესტორანებისა**, სასტუმროებისა, ტრაქტირებისა, სამიკიტნოებისა და ყველა მაგარ სასმელებით მოვაჭრეთ, რიცხვით 300 კაცს. კრებამ დაადგინა: ყველა საპოლიციო უბანში არჩეულ იქმნას სამ-სამი კაცი, სოლო მთელს ქალაქში-კი 30 კაცი; ამათ უნდა მოაწესრიგონ და მოარიგონ ხოლმე ყოველივე უთანხმოება. გარდა ამისა, კრებამ დაადგინა: ივაჭრონ ძველებურ წესზე (კვირა-უქმე დღეებშიაც), მხოლოდ ორი წყება მოსამსახურეებისა იყოლიონ. ამ მოსამსახურეებს ყველას თავის დროზე უნდა ჰქონდეთ მოსვენება. სავაჭრო დუქნები მთელის წლის განმავლობაში დაიკეტება მხოლოდ სუთჯერ: შობას, ახალწელიწადს, ნათლისღებას, აღდგომას და და პირველ მაისს. მოსამსახურეთა ავადმყოფობის დროს ადა მოვალეა მოუაროს და არც ჯამაგირი მოუსპოს. როცა მოსამსახურე ხაზეინის დუქნიდან მიდის, თავის ნებით თუ ხაზეინის დათხოვნით, სდა მას მიეცეს მოწმობა ყოფაქცევისა. თუ ვინიშცობაა ლუდისა და მინერალურ წყლების ქარხნების პატრონებმა თავიანთ სასმელებზე ფასები ასწიეს, ვაჭართა ამქარმა უნდა მოსპოს მაშინ მათთან ვაჭრობა და არ იყიდონ არავითარი სასმელი: თუ ამქარმა დაარღვია კრების ეს დადგენილება, მაშინ არჩეულმა კაცებმა უნდა გაარჩიონ ეს საქმე. კრებამ აგრეთვე გადასწყვიტა: დაარსდეს საზოგადო კასა, საიდანაც უნდა მიეცეს დახმარება დავარდნილ ავადმყოფ ვაჭრებს, მათ ობლებს და გასათხოვარ ქალებს. კასაში ყველა ვაჭრებმა თვიურად, შეძლების დაგვარად, თავისი წვლილი უნდა შეიტანონ. სავაჭრო დუქნების დაჭერაში არ შეეცილონ ერთმანეთს და მამულის პატრონსაც ნება არა ჰქონდეს გამართულ დუქნიდან უმიზეზოდ დაითხოვოს თავისი მდგმური. თუ დაითხოვა, უნდა უზღოს ზარალი, რომელიც უნდა შეაფასონ უბანში დანიშნულმა კაცებმა. ამ ოცდა-ათმა კაცმა, რომლებიც საერთო კრებამ უკვე აარჩია, თავიანთ შორის თავმჯდომარე უნდა დაასახელონ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ნახიჩევანი, 14 მაისი. მოკლულთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის. ამბობენ, ორასამდის არისო მოკლული. სომხის მაღაზიები ერთიანად განადგურებულია. ქალაქში სამარი წესებია შემოღებული. სანოვაგე არ იშოვება. დღეს ახლო-მახლო სოფლებშია ხოცვა-ჟლეტა. დღეს საღამოთი ერევნიდან ჯარს მოელიან.

სადღეისო

ტ ყ ე შ ი.

(ფანტაზია)

...საშინელ ღამეს ვერ დავივიწყებ, არ შემიძლიან...

ტყეში ვიყავი...

გზა დამბნეოდა, გამოსავლელი არსაით სჩანდა...

მხოლოდ ისმოდა საშინელი მხეცთა ღმუილი...

მე ამ ღმუილში მომესმოდა ძალმომრეობა...

ურიცხვი მხეცი, დამშეული, გაუმაძღარი, ტყეში დაძრწოდა, მსხვერპლს ეძებდა, კბილს ილესავდა...

ვაი მას, ვისაც კლანჭს გაჰკრავდა მშიერი დათვი, პირს წაავლებდა მგელი, ვეფხი დაერეოდა...

არსებობისთვის ბრძოლა იყო გაჩაღებული, და ამ ბრძოლაში იმარჯვებდა მხოლოდ ძლიერი...

ამ ტყის ამბავი მე წინადვე გამიგონია!

ვიცოდი, რომ შიგ გაბატონდა ძალმომრეობა...

ამიტომ დიდ ხანს ვყოყმანობდი, ვემზადებოდი, თან წავიყვანე ამხანაგი გზის მაჩვენებლად...

ტყეში მხეცთა მოსახერებლად წავიღე თოფი, იარაღი, თოფის წამალი...

მინდოდა ძალით გამეკაფა გასავალი გზა...

უიარაღოდ მხეცის ჯობნა არ შეიძლება!..

ვიცოდი კარგად, რომ ეშინიან ყოველ პირუტყვს იარაღისა; ძლიერს, გაბედულს ადამიანს გაურბის მხეცი...

შევედით ტყეში...

ჩვენს იქ შესვლაზე საშინელი ღმუილი ასტყდა...

თითქო ეწყინათ ორივესი გაბედულება, თითქო ეწყინათ ჩვენი შესვლა დაბურულ ტყეში...

გვეცნენ... გვეტაკნენ... სასიკვდილოდ გამოგვიმეტეს...

მაგრამ არ შევდრკით, არ შევშინდით... დავუხვედით მხეცებს...

და იარაღით წინ დავუხვედით... თოფი ვისროლეთ...

თოფის ხმა, მძლავრი არე-მარეს მოედო სწრაფად, ზეცას ავიდა, მხიარული, გამარჯვებული...

შეშინდა მხეცი, ტყის ნადირი, გაუმაძღარი...

გაიქცა... მხოლოდ ორიოდე, ტყვიით მოკლული, ეგდო ხის ძირში... დაცურავდა სისხლის მორევში...

გამარჯვებაა! აწი მხეცი ვერას დაგვაკლებს, შეშინებული აქეთ-იქით მიიმალება...

ჩვენ წინ მივდიოდით, მხნედ, ამაყად, გამარჯვებულნი...

მივდივართ, მაგრამ ღამე არის, გზა აღარა სჩანს...

გზა გვებნეოდა... ველარ ვნახეთ გამოსავალი.

დრო მიდიოდა... უგზო-უკვლოდ დავეხეტებით...

ჩემ წინამძღოლზე გული მომდის, ეჭვი მერევა...

ვიფიქრე, განგებ შემიყვანა დაბურულ ტყეში...

ამას ვფიქრობდი, ეჭვის თვალით ვუცქეროდი მოძმეს, ეჭვი მტანჯავდა, დავიქანცე, გავჩერდი გზაზე...

ამ დროს მომესმა ხმაურობა... ბუჩქი შეინძრა...

წამოვხტი ზეზე, იარაღს ხელი წავავლე სწრაფად, მეგონა: მხეცი დაგვეწევია, ნადირი ტყისა...

მაგრამ შევმცდარვარ... კაცი იყო, კაცი მეტყველი... ტკბილის ხმით, თითქო მოფერებით, მეუბნებოდა:

„მე დამიჯერე... ტყეში მე ვარ ბატონ-პატრონი... მხეცს, ტყის ნადირსაც მე ვბრძანებლობ, მემორჩილება...

„ვერ მოვა ტყეში, ვისაც არ აქვს ნება დართული... ჩემგან, მე ვარ ტყეში ბატონი...

„შენი თანამგზავრი გატყუებდა, ნუ დაუჯერებ, მოჰკალი იგი, დამიჯერე, დაგაჯილდოვებ...

„მან დაგიბნია გზა და კვალი დაბურულს ტყეში...

„დაიღუპები, თვარ გიშველე, არ მოგეხმარე.

„ტყის მხეცი შეგჭამს, შეგაწუხებს... სისხლს დალევს შენსას...

„შემომევედრე, მუხლმოდრეკით შემომეხვეწე და შემომფიცე ერთგულება და მორჩილება...

„მეც გიპატრონებ, მხეცს გავაგდებ, გზასაც გიჩვენებ...

„წამოდი!..

„მხოლოდ თანამგზავრი ჩამიგდე ხელში.

„ან მოჰკალ იგი, ან მომეცი, მომაკვლევინე..."

შევკრთი... შევჩერდი... ტკბილმა სიტყვა მომხიბლა ერთ ხანს...

უცნობს შევხედე, გადავხედე ჩემ თანამგზავრსაც...

უცნობის ტკბილი დაპირება, მისი ღიმილი... ჩემ თანამგზავრის მოკვლით ვნახო ბედნიერება...

თუ მოძმეს გვერდში ამოვუდგე, ერთგულ ამხანაგს, მასთან ვარჩიო ტყეში ერთად: შიშიანობა, თოფის გრიალი, მხეცებთან ბრძოლა, სისხლის ღვრა დიდი... იმ იმედით, რომ ბოლოს მაინც მივაღწევთ მიზანს, ტყიდან გამოვალთ, გზას გავიკაფავთ სამშვიდობოსკენ?..

ვთრთოდი... ვკვნობდი. .

ერთმა აზრმა გარდამქმნა სრულად!..

მივხვდი, რომ ჩემ წინ მოსაუბრე ტკბილი, უცნობი... ჩემი მტერია, ავაზაკი, ტყის ავაზაკი!..

მას სურდა ჩემი ამხანაგთან გადამტერება!..

უნდოდა ჩემი თანამგზავრი მევე მომეკლა...

მის სიკვდილის შემდეგ მიპირებდა დამონავებას!..

ცალკ-ცალკე ყველას გვაჯობებენ, ერთად კი ვერა!..

მას აშინებდა ჩვენი ერთად მოგზაურობა და ტკბილის სიტყვით, მლიქვნელობით და დაპირებით—უნდოდა ჩვენში ჩამოეგდო განხეთქილება...

მივხვდი განზრახვას... გაბრაზებული... ვეცი ავაზაკს...

იელვა უცებ... გაისმა გრგვინვა... შეინძრა ზეცა...

და აქ, ტყეში კი, ჩემს ფეხ-ქვეშ ეგდო ამ ტყის ბატონი, ავაზაკი, ქვეყნის მძარცველი...

მოვკალი იგი... მხიარულად შევდექი ზეზე... და ჩემს ამხანაგს მხიარულად გადავეხვიე...

ტყეში ვიყავით... თენდებოდა... და მზე ნათელი, მზე მხიარული მედიდურად ამოდიოდა...

ამ მზის სხივებში გზა ვიპოვნეთ, გზას დავადექით...

მასზე სიარულს ვერ დაგვიშლის მხეცი, ნადირი...

მახსოვს ის ღამე, საშინელი, დაუვიწყარი...

მახსოვს ტკბილი ხმა ავაზაკის, ჩემი პასუხიც...

თვალწინ მიდგია ის სურათიც, როდესაც ჩემს წინ... ეგდო უსულოდ, უმოძრაოდ ტყის ავაზაკი...

ნ. ნ.

საარჩევნო სისტემა *)

არჩევნების დროს უმთავრესი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ ამომრჩევლებმა დაუბრკოლებლად და სავსებით გამოსთქვან თავისი აზრი. რაც მეტი შევიწროება და დაბრკოლება ხვდება წინ აზრის გამოთქმას, რაც უფრო ვიწროა ის ფარგალი, რომელშიაც მოთავსებულ უნდა იქმნას არჩევნები, მით უფრო დამახინჯებული იქნება ამომრჩევლის სურვილი წარმომადგენელთა კრებაზე.

ამ მხრივ უმაღლეს წერტილს მიაღწიეს ძველსაბერძნეთის სახელმწიფოებმა, სადაც ხალხის წარმომადგენლობა არავითარ შევიწროებას არ განიცდიდა. ეს სახელმწიფოები,—მაგ., ათინისა,—შესდგებოდა მხოლოდ ერთის ქალაქისა და მის გარეშემო მდებარე სოფლებისაგან. ამგვარ სახელმწიფოს ყველა მოქალაქენი შეიკრიბებოდნენ მოედანზე, როდესაც ეს საჭირო იყო, და ერთად არჩევდნენ შინაურ და გარეშე პოლიტიკის საკითხებს, საყოველთაო კრებაზე. ასევეა შვეიცარიის 4 კანტონში, სადაც ხალხის ამგვარ კრებას „რეფერენდუმს" ეძახიან.

მაგრამ, რაც ძველ-საბერძნეთის სახელმწიფოებში და ეხლა შვეიცარიის კანტონებში, ხალხის სიცოტავის გამო, მოსახერხებელი იყო და დღესაც ხერხდება, ის ძალიან ძნელი განსახორციელებელია იმ სახელმწიფოებში, რომელშიაც მრავალი მილიონი ხალხი ცხოვრობს. ამის მიუხედავად, მაინც საჭიროა ხალხის დაკითხვა ისეთ ძნელ საკითხების შესახებ, როგორიცაა ომის გამოცხადება. დანარჩენ შემთხვევებში ძალა-უნებურად უნდა დავჯერდეთ ხალხის შეკვეცილ მმართველობას, რადგანაც მთელის ხალხის მოწვევას ბევრი ტეხნიკური სიძნელე ახლავს; უნდა დავჯერდეთ, სრულ სახალხო მმართველობის მაგიერ, წარმომადგენლობით მმართველობას, ე. ი. იმ მმართველობას, რომელშიაც ხალხის მიერვე არჩეული წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. წარმომადგენლობითი მმართველობის სავსებით განხორციელება მხოლოდ საარჩევნო უფლების საშუალებით არის შესაძლებელი.

როგორც წინა წერილში ვთქვით, ამომრჩეველთა ინტერესების დასაცველად და ცხოვრებაში გასატარებლად აუცილებლად საჭიროა, საარჩევნო უფლება იყოს საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი.

*) ფ. მუსკატბლიტის წერილიდან.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, ამგვარ საარჩევნო უფლებით მოწვეულ წარმომადგენელთა კრებაც შეიძლება ისეთის შედგენილობისა იყოს, რომ იქ არა ჩანდეს სავსებით ამომრჩეველთა სურვილი და მოთხოვნანი. შეიძლება ეს იმიტომ, რომ ამომრჩეველთა სურვილისა და აზრების გაუყალბებლად გამოცხადება წარმომადგენელთა კრებაში რამოდენიმედ საარჩევნო სისტემაზეა დამოკიდებული.

თითქმის ყველა პირველხარისხოვან სახელმწიფოებში ასეთი სისტემა არჩევნებისა: მთელი სახელმწიფო იმდენ წვრილ მაზრებადაა დაყოფილი, რამდენი დეპუტატიც უნდა გაიგზავნოს წარმომადგენელთა კრებაზე, ასე რომ თითოეულ მაზრის ამომრჩეველი მხოლოდ ერთ დეპუტატს ირჩევს,—კანდიდატს ან „ჰო"-ს ეუბნება, ან „არა"-ს. ამიტომ ამგვარ საარჩევნო სისტემას „კერძოობითი" ეწოდება.

ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებში კი ასეთი წესია შემოღებული: სახელმწიფო რამდენსამე დიდ პროვინციადაა დაყოფილი; პროვინციაში ამომრჩეველით წარედგინებათ ერთი სია იმდენ კანდიდატისა, რამდენიც ანგარიშით უწევს ამ პროვინციას, და თითოეული ამომრჩეველი თავის შავსა ან თეთრ კენჭს აძლევს ყველა იმ კანდიდატებს, რომელნიც სიაში არიან აღნიშნულნი. არჩევნების ამგვარ წესს სიობრივი სისტემა ეწოდება.

ცხოვრებაში დანამდვილებით ვერ დამტკიცდა, რომელი სისტემაა უკეთესი. მაგრამ არის ზოგიერთი ისეთი საბუთი, რომელიც გვიჩვენებს, რომ კერძოობითის სისტემას მეტი უპირატესობა აქვს. სიობრივ სისტემის სასარგებლოდ მხოლოდ ერთი საყურადღებო საბუთი ლაპარაკობს: რადგანაც ამ წესით არჩეული დეპუტატი დიდის პროვინციის წარმომადგენელია, ამიტომ იგი წვრილმან ინტერესებს დაშორებული იქნება და მხოლოდ იმიტომ აირჩევდნენ, რომ სახელოვანი და მოღვაწეობით შესანიშნავი პირიაო; და წარმომადგენელთა კრება, სადაც წევრებად ასეთი ცნობილი პირები იქნებიან, უკეთესი და თავის მოქმედებით უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე ის კრება, რომლის წევრებადაც პატარ-პატარა მაზრებისაგან არჩეული წვრილ ინტერესების გამომხატველი დეპუტატები იქნებიანო. ამგვარად არჩეულ დეპუტატთა გონებრივი მხედველობა პატარა მაზრის იქით ვერ წავაო: რაც უფრო ვიწროა ჯუჭრუტანა, მით უფრო პატარად ხედავს კაცი მოედანს; ზოგიერთი საქმე, რომელიც პატარა მაზრაში დიდ საქმედ სჩანს,—მაგ., წყლის მილის შესყიდვა,—ის, სახელმწიფო საქმეებთან შედარებით, პაწაწკინა ნამცეციაო. ამიტომ „კერძოობითის" სისტემით ამორჩეულ დეპუტატთაგან შემდგარი პარლამენტი წვრილმან საქმეებს ვერ გასცილდება და მხოლოდ პოლიტიკის საქმეებს თავს ვერ გაართმევსო.

მაგრამ, მეორე მხრით, ამ სისტემის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ რამდენისამე პირის ერთად წარდგენა კანდიდატებად, რომელნიც ამომრჩეველმა უნდა მიიღოს ან უარ-ჰყოს, უხერხულია: მაგალითად, ზოგჯერ სიის თავში მოქცეულია შესანიშნავი მოღვაწე, რომლის წარმომადგენლად არჩევა სასარგებლოა; შემდეგ კი გამოუსადეგარი კანდიდატები არიან ჩაწერილნი. ამომრჩეველს თუ უნდა, ეს შესანიშნავი მოღვაწე თავის წარმომადგენლად ჰყავდეს, უნდა მიიღოს მთელი სია და ამ შემთხვევაში ამ მოღვაწესთან

ერთის მხრივ შენი სიყვარული, მეორე მხრივ წყურვილი შენთან მუშაობისა დიადს საქმეში!

გელი პირველ თიბათვეს, თუ შესაძლებლად ვსცან, ორში მე თვითონ ჩამოვალ, თუ არ მნახავ, ან ვერ მოიცლი. ჩამოვალ, რომ ვიყო მარად შენის გრძნობით, გონებით, გულით, სიცოცხლით, მთელის ჩემის არსებით, ჩემო და მხოლოდ ჩემო ვანო!

შენი და მხოლოდ შენი ელენე.

12 მაისი.
1905 წ.

P. S. შენი გამოგზავნილი ბროშურები წავიკითხე, ძლიერ მომეწონა. საზოგადოდ უსაქმოდ არ ვატარებ დროს, ვკითხულობ შენ მიერ ნაჩვენებ წიგნებს...

კიდევ შენი ელენე.

ი. ევდოშვილი.

საწყალი მელანო!

მნათეს ცოლი, მელანო, სახლის კიბიდან საჩქაროდ ჩამოიჭრა, ხილის პატარა ბაღი გაიარა, სოფლის ბოლოს გორაკზე ავარდა და, დამფრთხალ ირემივით, აქეთ-იქით ცქერა დაიწყო.

მელანოს სახე აღეწილი ჰქონდა, თვალებში უზომო შიში ეხატებოდა, გაფანტვით ვიღასაც და რაღასაც ეძებდა.

ბოლოს თვალი მოჰკრა შარა-გზაზე ჩქარის ნაბიჯით მიმავალს ოთხს ლურჯ-ხალათიან ყმაწვილს. მელანო ერთს ალაგას გაქვავდა, მისი გული და ოცნება ამ ყმაწვილებს გაჰყვა.

სოფელი ახლად იღვიძებდა. მთის მწვერვალს იქით ჰორიზონტი გაწითლებულიყო, არემარეს მკრთალი, ნაზი ნათელი მოჰფენოდა. გრილი და მსუბუქი ჰაერი თვალსა და გულს საამურად ხვდებოდა, ადამიანი უნებურად ამ წმინდა ჰაერს ხარბად ჰყლაპავდა, მაგრამ მელანო ყველა ამას ან ვერ ხედავდა და ვერ ჰგრძნობდა, ან მათთვის არ სცალოდა.

ვერ ამჩნევდა მელანო ვერც სოფლის საქონელს, რომელსაც მათი პატრონი ზანტად მოერეკებოდა სხვადასხვა კუთხიდან სოფლის შუაგულ, პატარა, უწსორ-მასწორო მოედანზე. ფერდ-ჩაცვივნული, ნეხვში ამოსვრილი ძროხა, ხბო, დავარდნილი მუშა-ხარი ბღავილითა და ზლაზვნით იყრიდა ერთად თავს და, თითქოს ერთმანეთს ესალმებიანო, ერთი მეორეს ეხახუნებოდა, ლოკავდა, რჩოლავდა.

შუა ხნის, დაბალი, გამხდარი გიორგელა-მენახირე დაგლეჯილის ჩოხა-შარვლითა და სულელურის გამომეტყველებით მაღლობზე იდგა და, ნახირის შეგროვების მოლოდინში, დანით რაღაცა ჯოხსა სთლიდა. დრო-გამოშვებით გადახედავდა ხოლმე საქონელს და თვალით ატყობდა, რომ ამა და ამ კაცის საქონელი აკლიაო და თავს ისევ ღუნავდა.

მელანო კი გაუნძრევლად ისევ იმ ადგილს იდგა. ის იყო მაღალი, კოხტად შეგდმული ტანის ქალი, შავის თვალ-წარბით და თეთრის, ნაზის პირის კანით. თუმცა მის სახეზე სიბერეს თავისი ნიშანი დაედო და თავშლიდან ოდნავ შეჭაღარავებული თმაც მოუჩანდა, მაგრამ ჯერ ისევ ლამაზი იყო.

მელანოს ეცვა სოფლის წელ-მაგარ მნათეს ცოლის შესაფერისად: სოფელში მრევლი დიდი იყო და ღვდელიც ისეთი სასტიკი ჰყავდათ, რომ სოფელს დრამის დროზე ჩაუბარებლობას არ დაუთმობდა.

მნათეს დათო ნადირაშვილის სახლი სოფელში შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა და ბევრჯელ უთქვამთ, რომ იმ სოფელში მცხოვრებ აზნაურთ ოჯახებს არაფერში დაუვარდებაო. დათო ოცდაათ წელიწადს მნათეობდა და ამ ხნის განმავლობაში არამც თუ უზრუნველად ცხოვრობდა, შავის დღისთვისაც ჰქონდა ცოტა რამ გადადებული, ისე რომ დათომ თავისი უფროსი შვილი ჯერ სოფლის სკოლაში სამი წელიწადი ატარა, შემდეგ რკინის გზის დეპოში მიაბარა. შვილი წამოეზარდა, ხელობა ისწავლა და თვეში ხუთ-ექვს თუმანს შოულობდა. ეს გარემოება დათოს ჭკუაში დაუჯდა და, რადგან ხვნა-თესვას არ მისდევდა და ისე რიგად სახლში შვილების დახმარებას არა საჭიროებდა, მეორე შვილიც დეპოში მიაბარა და თავის უფროსი ქალიც კი რკინის გზაში მოსამსახურეს მიათხოვა.

დათო და მისი ცოლი კარგა ხანს ტკბილად და უზრუნველად სცხოვრობდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, რამდენსამე თვის წინად რკინის გზაზე რაღაცა „ბუნტი" იყო და დათოს სიძე უცაბედად ამ არეულობის დროს თოფით მოჰკლეს. ბევრი იგლოვეს ცოლ-ქმარმა სიძე, რომელსაც სამი ქორფა შვილი და ცოლი უმწეოდ დაურჩა, მაგრამ დათოს ვაჟები უცოლშვილონი იყვნენ და სიძის საფლავზე აღთქმა დასდეს, ობლებისათვის ეპატრონათ და სიკვდილამდის არ მოეკლოთ მათთვის თავიანთი მზრუნველობა.

კარგა ხანმა გაიარა. მზემ მწვერვალოდან უკვე გადმოიხედა და არე-მარეს გამაცოცხლებელი სხივები მოჰფინა, ჰაერი თანდათან გათბა. სოფელი ახმაურდა, გაცოცხლდა, მინდვრებში აქა-იქ კვავები გაიბა, ზოგი ტყეში მიემგზავრებოდა, ზოგს კოდიანი ტომარა ზურგზე მოედო და წისქვილში მიაცუნცულებდა. ქალები თავ-თავიანთ სახლების წინ ფათურობდნენ, ზოგიც ბოსტანში მუშაობდა. შორს მოსჩანდა ველად გაშლილი ნახირი. გულაღმა მწოლი გიორგელა-მენახირე არხეინად სალამურს არაკრაკებდა. მელანო კი ისევ იმ ალაგას იდგა და ღრმა, მწუხარე ფიქრებში გართული, სოფლის სურათს ცულ-გრილად შესცქეროდა. ბოლოს შეინძრა, ერთი კიდევ მიიხედმოიხედა, თავშალი გაისწორა და თავქვე დაეშვა.

ის მიდიოდა გაჩქარებულის ნაბიჯით, მუხლები ეკეცებოდა, დროგამოშვებით ერთს ადგილას შესდგებოდა ხოლმე, უკან ბრუნდებოდა, მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ, ისევ წინ მიიწევდა. შორიდან მაყურებელს მელანო სწორედ გიჟი ეგონებოდა. ფიქრსა და დარდს იგი დაერეტიანებინა.

სასაფლაოს გვერდით, მაღლობზე, მოსჩანდა პატარა ორ-სართულიანი სახლი, სუფთა, ფართო აივნით, და ერთი-ერთმანეთზე მიდგმული რამდენიმე ხის შენობა, რომელთა შორის ლამაზი ფიცრული ბეღელი ნასადილევ ბატონივით გამოიყურებოდა. აივნის ჩამოღმა, ხილაბანდ თავზე წაკრული და ძველ ზამთრის კალოშებში შიშველა ფეხებ-ჩადგმული და ჭუჭყიან თეთრკაბიანი სოფლის მღვდელი გულ-მოდგინედ შეშას აპობდა.

ამ სოფელში მღვდელი — იმერელი—ახლად მოსული იყო. სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ აქ გამოამწესეს და სოფელი, რომელიც აქამდისინ მოხუცებულ და დინჯ მღვდლებს იყო შეჩვეული, მის სიყმაწვილესა და მხიარულ ხასიათს როგორღაც ვერ შესჩვეოდა,—რა მაგის საქმეა მღვდლობა, მაგას მიმინო უნდა ეჭიროს ხელში და მინდვრებში მწყრებს დასდევდესო,—ამბობდნენ ხოლმე სოფლის ოხუნჯები, თუმცა ამავე დროს მის ჭკუასა და განათლებას პატივსა სცემდნენ და რჩევა-დარიგებისთვის ხშირ-ხშირად მიმართავდნენ ხოლმე. მელანოც მღვდელთან რჩევისთვის მიდიოდა.

მღვდელმა რომ მელანო დაინახა, ტანისამოსზე დაიხედა, ერთით სახლში შესვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, შეშის პობას თავი გაანება და მელანოს მხიარულად მიესალმა:

— მელანოს ვახლავარ! ასე დილა-ადრიან საით გამგზავრებულხარ, მელანო?

— დილა მშვიდობისა, მამაო,—ამოიოხრა მელანომ და იქვე მორზე ჩამოჯდა.

— რა დაგემართა, ქალო, როგორღაც ვერა ხარ კარგად, შეგემთხვა რამე თუ?—გაკვირვებით ჩაეკითხა მღვდელი, როდესაც კარგად ჩაუკვირდა მის სახეს.

— ეჰ, დავიღუპე, დავიღუპე, მამაო!—ამოუშვა ქვითინი მელანომ.

— მაინც, რა იყო, რა დაგემართა?

— რაღა რა იყო, ცოცხლად რომ ჩამქოლოთ, უფრო კარგი იქნება, ჩემზე უბედური ადამიანი ჯერ ქვეყანაზე არ დაბადებულა. იმ დალოცვილმა ღმერთმა მარტო ჩემზე მოიცალა, ჩემს მეტი ვეღარავინ ნახა? ვიფიქრე, ახლა კი მეშველა, გავკეთდი, სიბერის დროს ტკბილად ვიცხოვრებ-მეთქი და... ეეეჰ.—ამოიოხრა მელანომ და ცრემლი მოიწმინდა.

მღვდელი გაკვირვებით შეჰყურებდა.

— რა იყო ქალო, რაი?

— რისთვის დავზარდე მე უბედურმა შვილები, რისთვის დავიწვი, რისთვის დავიდაგე, განა სასიხარულოდ, არა? ოი, ისეთი სიხარულია მიეცეს ჩემს მტერსა და დუშმანსა, როგორც მე გავიხარე, ისე დასწვას, დადაგოს...

— ქალო, ხომ არ გადაირიე, აღარ იტყვი, რაშია საქმე?

მელანომ ახლოს მიიწია, აქეთ-იქით მიიხედა და საიდუმლო ხმით დაიწყო

— დავიღუპე, მამაო ჩემი ილიკო და ვანო გადამერივნენ!

— როგორ თუ გადაგერივნენ?—ვერ მიხვდა ღვდელი.

— გადამირიეს, მამაო, გადამირიეს, წამალი მიჭმიეს. მაგათთვის აღარც ჭამაა დროზე, აღარც სმა, აღარც მხიარულება. მოჯადოებულივით დადიან და სულ რაღაცა წიგნებს ჰკითხულობენ...

მღვდელს არა ესმოდა-რა.

— არც ლაპარაკი მოგეწონება მაგათი, მამაო, არც საქციელი, ისეთს არეულს ლაპარაკს მოჰყვებიან, რომ ყურები უნდა დაიხშო და კარში გავარდე...

— მაინც, რას ლაპარაკობენ? ჰკითხა მღვდელმა.

— რა ვიცი, მამაო, მე მაგათი ლაპარაკისა ვერაფერი გავიგე, ეს კი არის, რომ მაგათი ლაპარაკი არ მოგეწონება, ქადაგად რომ დაუცემია ადამიანი, იქნება სულ მართალს ლაპარაკობს, მაგრამ მაინც... როგორღაც ჩვენი აღარ არის, რის ძალაც ალაპარაკებს, იმისია, იმის მადლს ვენაცვალე, ჩვენში აღარ ურევია. მე, დედას, იმისთანა რამეებს მეტყვიან ხოლმე, რომ გეგონებათ, ჩემი მტრები არიანო...

მღვდელი, როგორც იყო, მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და გაიცინა.

— რომელი ლაპარაკობს მანგრე, ილიკო?

— ილიკო, ილიკო, იმას მოუკვდეს თავი, იმან დამღნო, დამაჭლექა, იმან გადამირია უსუსური ბავშვიც...

— რაზე სწყევლი, ჯერ ხომ არაფერი ჩაუდენია, ილაპარაკით კი ილაპარაკოს, რამდენიც უნდა.

— უიმე, მღვდელო, მაგას როგორ მეუბნები, მე რომ ჩემი სიძე ტყვიით გაგმირული ვნახე, მე რომ მაშინ ხალხის საცოდაობით დავიწვი, იმ დღეს რომ მოვიგონებ, გამაციებს ხოლმე. ვგრძნობ, მამაო, რომ მეც ასეთი დღე მომელის: ძალიან არიან ატეხილნი. მოიჭრებიან სახლში, ზეზეულად შესჭამენ რასმე და გარბიან, ხანდახან გათენებისას შემოვლენ ხოლმე დასაძინებლად. შეიყრებიან, ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, მერე უცბად იხუვლებენ და წავლენ. ხანდახან ჩემი ილიკო ისეთი დაღალული, დაგლეჯილდაფლეთილი მოდის, რომ მთვრალი მეგონება ხოლმე. ვეუბნები, შვილო, ნუ მღუპავ, რად გინდა ჩემი ცოდო დაიდო-მეთქი?—„შენ რა გესმის, შენი საქმე არ არის, შენ შენთვის იყავიო". რა ვქნა, მღვდელო, მიშველე რამე, ამაზე მეტი აღარ შემიძლიან. წყალში ხომ არ გადავვარდები? მირჩიეთ რამე... მითხარით, როგორ მოვიქცე?

— აბა, რა გირჩიო, მე რა შემიძლიან—და ღუნა თავი მღვდელმა და ცულით ჩხირს თლა დაუწყო...

— იქნება წამალი იცოდე რამ...

მღვდელმა გაიღიმა.

— მაგას წამალი არა აქვს...

— ან იქნება დაარიგო, ჩააგონო, შეაბრალო ჩემი, თავი—არ ეშვებოდა მელანო.

— ჰმ... დავარიგო!... არ გამიგონებენ...

— მაშ რა ვქნა, მამაო, ძილი აღარა მაქვს, ღამეებს თეთრის თვალით ვათენებ. აი, წუხელისაც, რაღა დაგიმალო, მოვიდა ორი ვიღაც ყმაწვილი. სალამოხანი იყო, ბაღში ვიჯექ, შევხედე, ღობეს მოადგნენ.—დედი, ილიკო ნადირაშვილი სახლში არ არისო?—იკითხეს. ილიკო ამ დროს ოთახში იყო, მეგონა, ვერ დაინახავს მეთქი და ვუთხარ: არა, შვილო, სახლში არ არის-მეთქი!

ერთად არჩეულნი გამოდიან აგრეთვე გამოუსადეგარნი პირნიც. თუ ამომრჩეველმა არ მიიღო სია, მაშინ იგი უარჰყოფს შესანიშნავ, სასარგებლო მოღვაწესაც... და ეს კი არაა სასურველი. ამიტომაც იგი ძალაუნებურად თანხმდება სიაში ჩამოთვლილ პირების წარმომადგენლებად გაგზავნაზე. გარდა ამისა, როდესაც ამომრჩეველთ რამდენიმე კანდიდატი ჰყავთ მხედველობაში, იგინი ვერ მოილაპარაკებენ ერთმანეთთან წინასწარ კრებებზე და თვით ეს კრებები, ხალხის სიმრავლისა გამო, ვერ შესდგებიან ხოლმე. ამიტომაც, ამომრჩეველნი სათამაშო ბურთად უხდებიანო პოლიტიკანებს და არ იღებენ მონაწილეობას იმ აზრთა ბრძოლაში, რომელიც ამაღლებს კაცს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, რომელიც საუკეთესო სკოლაა საყოველთაო სარგებლობის შესაქმნელად და—ეს ყველაზე ძვირფასია—აერთებს მთელ მასსას. ის მასსა, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებს თვით ბრძოლაში და მხოლოდ მიიღებს ან უარჰყოფს ჩაწერილ კანდიდატებს, ამ შემთხვევაში წააგავს თეატრში შეკრებილ საზოგადოებას, რომელიც მონაწილეობას არ იღებს თვით პიესაში და მხოლოდ არტისტთა თამაშს უკრავს ტაშს ან უსტვენსო. „კერძოობითის" სისტემის არჩევნების დროს კი ამომრჩეველი დაახლოვებულია იმ საგანთან და ინტერესებთან, რომელსაც ესა თუ ის კანდიდატი საჯაროდ იცავსო...

ყოველ შემთხვევაში, ეს კითხვა, რომელი სისტემა უფრო უკეთესია, ისე საყურადღებო არ არის, როგორც საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და იდუმალ საარჩევნო ხმის უფლება. თუ საარჩევნო უფლებას ეს პრინციპები არ უდევს საფუძვლად, ისე წარმომადგენელთა კრება თავის დღეში არ იქნება ნამდვილი წარმომადგენელი ხალხის სურვილისა და მოთხოვნილებისა.

პ. დ.

რუსეთი

მთავრობამ ყურადღება მიაქცია მთავრობის მიერ დანიშნულ სხვადასხვა ქალაქების ებრაელ ხმოსნებს, რომელნიც **ხმოსნობაზე დემონსტრატიულად უარს აცხადებენ**. ასეთი მაგალითები ამ უკანასკნელ დროს ძალიან გახშირდა. (ს. ო.).

✦ ფინლიანდიის კომისარმა პეკონენმა, რომელმაც ამ დღეებში **დაწვრილებითი შემუშავებული მოხსენება გამოაქვეყნა ფინლიანდიაში სარევოლიუციო მოძრაობის შესახებ**, უცნობისაგან შემდეგი წერილი მიიღო: „მოთმინების ფიალა გაივსო"!

✦ **ხულიგანებმა კიშინიოვი აიკლეს**. ქალაქელები თავზარდაცემულნი არიან. მცხოვრებნი, თუ უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვს, სახლებიდან არ გამოდიან. ხულიგანები სტუდენტებსა, ინტელიგენციასა და მუშებს სცემენ; სცემენ ყველგან და ყოველთვის: დღისითაც და ღამეც, მთავარ ქუჩებზედაც და განაპირა უბნებში. შუა ქალაქში შუადღეს ხშირად ისმის საშინელი ყვირილი: თხოულობენ შველას, მაგრამ მშველელი არავინ არის. პოლიციას ყოველ-დღე რამდენიმე დაჭრილი და ნაცემი მიჰყავს საავადმყოფოში. აი, რამდენიმე მაგალითი: შუა ქალაქში შუადღეს ასამდე ხულიგანმა ერთ კაცს ისე სცემა, რომ ნაცემს გული წაუვიდა. ცემას აუარებელი ხალხი დაესწრო, მაგრამ შიშით ხმა ვერავინ ამოიღო. მხოლოდ ერთმა დედაკაცმა გაბედა და სიტყვით პროტესტი განაცხადა. ხულიგანებმა ამ დედაკაცსაც სცემეს და გაუშვეს.

ერთ დურგალს შუადღეს ხულიგანები გამოუდგნენ. დურგალი გაიქცა, მაგრამ გზაში პოლიციელმა დაიჭირა და მდევართ ჩააბარა. ხულიგანებმა ისე სცემს, რომ პოლიციამ გულწასული დურგალი საავადმყოფოში გაჰგზავნა.

იმავე ხულიგანებს მეაფთიაქე „პატრიოტი" „დემოკრატი" ეგონათ და ძალზე სცემეს. მეორე დილით სცემეს გიმნაზიის მასწავლებელს გეიდკეს და გიმნაზიელს ბოდესკოს.

მესამე დღეს მედუქნე კაშტანოვი დაასახიჩრეს. კაშტანოვს ცოლი მიეშველა, მაგრამ იმასაც იგივე დღე დააყენეს.

ხალხი დაშინებულია და არ იცის, რა ქნას; თავის დაცვაც არ შეუძლიან. პოლიცია სულ პატარა ჯოხის ტარებასაც კი უშლის ინტელიგენციას, კომბლებით შეიარაღებული ხულიგანები კი შუადღეს შუა ქალაქში ასობით დადიან. (რუს. სლ.).

✦ ხმა დადის, დღეს, 15 მაისს უნდა გამოცხადდეს ბრძანება შესახებ იმისა, რომ 1 **ნოემბერს მოწვეულ იქმნება სახალხო წარმომადგენლობა**, რომელსაც საერო კრება დაერქმევა. (ს. ო.).

✦ დღემდის უცხო სახელმწიფოს ელჩები პეტერბურგიდან თავის მთავრობას კორესპონდენციასა და წერილებს რუსეთის ფოსტით უგზავნიდნენ. ახლა **ამერიკის ელჩი რუსეთის ფოსტას აღარ ენდობა** და სხვა გზა მოძებნა წერილების გასაგზავნად. ელჩი ოფიციალურ წერილებსა და დეპეშებს ცალკე ამერიკის ხელით ჰგზავნის ბერლინამდე, სადაც იქაური ელჩი იბარებს და იქიდან ამერიკაში გზავნის (რ. ვ.)

✦ ყველას ეცოდინება, რომ რუსეთის განთქმული მემუსიკე და **კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვი პეტერბურგის კონსერვატორიის გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა და პროფესორის ადგილი წაართვა**. ეს ამბავი ამერიკელებმაც გაიგეს და თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. ნიუ-იორკის უმაღლესმა სამუსიკო სკოლამ შესაფერად დააფასა რიმსკი-კორსაკოვის ნიჭი და, რაკი გაიგო, რომ კორსაკოვი უადგილოდ დარჩა, მაშინვე წერილი მოსწერა და სთხოვა: მობრძანდით და ამ სკოლაში პროფესორის ადგილი მიიღეთო. (რ. ვ.).

✦ პოლონელებმა მინისტრთა კომიტეტს სთხოვეს, პოლონურ სკოლებში სწავლა პოლონურ ენაზე იყოსო. **მინისტრთა კომიტეტმა ეს თხოვნა განიხილა და უყურადღებოდ დასტოვა** (რ. ვ.).

წერილი რედაქციის მიმართ

„ცნობის ფურცელს" და „ივერიაში" ამ დღეებში დაიბეჭდა ჩვენი კოლექტიური წერილი მემამულეთა და მიწის მუშათა შორის დღევანდელის გამწვავებული ურთიერთობის შესახებ. ორივე რედაქციამ ჩვენს წერილს მისთანა შენიშვნები უძღვნა, რომ არ შეიძლება უყურადღებოდ დავსტოვოთ.

ჩვენი წერილიდან ორსავე რედაქციას ის აზრი გამოუყვანია, თითქო ჩვენ „აგრარული საკითხების გადაფუჩეჩება" გვსურდეს. ვნახოთ, რამდენად მართალია ეს აზრი.

ჩვენს წერილში ორ ადგილას ვეხებით ეკონომიურ ურთიერთობას—და, აი, ეს ადგილებიც. 1) „დღესდღეობით ერთად ერთი **„სადავო საგანი"** მემამულეთა და მიწის მუშათა შორის—მიწის ღალაა; მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს უთანხმოება ადვილად გასწორდება სხვა უფრო მშვიდობიანის გზით: ამისთვის სრულიად საჭირო არ არის ერთმანეთის მისევა და წვა-დაგვა"; 2) „საადგილ-მამულო პირობანი, ადგილების ბაჟისა და ღალის შესახებ, ურთიერთ შორის **„დროებით"**, სანამ თავისუფალ ერის წარმომადგენელნი ამ საკითხს შესაფერის კანონმდებლობით გადასწყვეტდნენ,—ერთმანეთთან მშვიდობიანის შეთანხმებით ან მედიატორულის წესით მოაწესრიგონ".

დაკვირვებული მკითხველი პირველი წაკითხვითვე მიხვდება, რომ მოყვანილ სიტყვებიდან სრულიად არა სჩანს, თითქო ჩვენ „აგრარულ საკითხების გადაფუჩეჩება" გვინდოდეს; პირიქით, პირდაპირ ვამბობთ, რომ ეს არის მემამულეთა და მიწის მუშათა შორის **„სადავო საგანი"** და საჭიროდ ვსთვლით ამ ურთიერთობის მოწესრიგებას; ჩვენ ვამბობთ, რომ ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ ნორმალურ კანონების დაწესება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ეს თავისუფალ ერის წარმომადგენლებზე იქნება დამოკიდებული; დღეს დღეობით კი გამწვავებულ ურთიერთობის ჩასაქრობად ორ საშუალებას ვასახელებთ: ან **ერთმანეთთან მშვიდობიან შეთანხმებას, ან მედიატორულ სასამართლოს**. ნუ თუ აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, თითქო ჩვენ აგრარულ საკითხების **გადაფუჩეჩება** გვინდოდეს?

„ივერიის" რედაქცია, სხვათა შორის, ამბობს „ასზე მეტ თავად-აზნაურს, რომელნიც კოლექტიურ წერილს ადგენენ, უფრო მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა მოეთხოვება, ვიდრე სჩანს მათ წერილშიო". ამასთან იმასაც გვწამებს გაზეთი, თითქო ჩვენ **„ხალას ჭეშმარიტებად"** მიგვაჩნდეს ინტელიგენტებისაგან სოფლებში წვა-დაგვისა და მოკვლა-შესევის ქადაგება.

ამის პასუხად ჯერ ერთი ის უნდა მოვახსენოთ პატივცემულ რედაქციას, რომ, როგორც „ცნობის ფურცელს", ისე „ივერიასაც" უსაფუძვლოდ მოუნათლავს ჩვენი წერილი თავად-აზნაურობის სახელით: „ფრთხილი და წინდახედული" მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ჩვენს კოლექტიურ წერილს ხელს აწერენ **ინტელიგენტები** რომელთა შორის მრავალი არა თავად-აზნაურებიც ურევია. მართალია, ეს წერილი თავად-აზნაურთა კრებაში იყო წაკითხული და კრებისგან მოწონებული, მაგრამ ინტელიგენტების სახელით იყო ის შედგენილი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ინტელიგენცია თავის თავს დამნაშავედ არა სცნობს წვა-დაგვისა და ერთმანეთის მესევის ქადაგებაში. **ფრთხილსა და წინდახედულ პრესსას** არ უნდა გამოჰპარებოდა ეს გარემოება, რადგან ის საჯაროდ იყო კრებაშივე აღსარებული. მეორე, ჩვენის წერილიდან სრულიადაც არა სჩანს, თითქო ჩვენ გვჯეროდეს ინტელიგენტებისაგან წვა-დაგვის და შესევის ქადაგება; ჩვენ ვამბობთ: 1) „თავად-აზნაურობის მრავალი წევრი აცხადებს, რომ ეს სამწუხარო მოვლენა **თითქო** პირდაპირი შედეგი იყო სოფლად მოსიარულე ზოგიერთ ინტელიგენტებისა და განათლებულ ყმაწვილების ქადაგებისა, თითქო ჩვენს ხალხს ეუბნებოდნენო" და სხვა. ეჭვი არა გვაქვს, „ივერიის" რედაქციას კარგად ესმის, რასაც ნიშნავს სიტყვა **თითქო**! 2) „დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგნებულ ინტელიგენტებს არაფერი საერთო არა აქვთ იმათთან, რომელნიც მოძმეებს შორის შუღლსა და მტრობას სთესენ". შეუძლებელია, ამ სიტყვებიდან მკითხველმა ის აზრი გამოაქვეყნოს, თითქო ჩვენ ინტელიგენტებისაგან სოფლებში წვა-დაგვისა და შესევის ქადაგება „ხალას ჭეშმარიტებად" მიგვაჩნდეს! მეორე მხრით, კაცმა განებ უნდა ყური მოიყრუოს და თვალი დაიბრმავოს, რომ უარყოს სოფლად ზოგიერთის „არამკითხე მოამბეების" ცრუქადაგება, ვითომდა ინტელიგენტებისა და სხვა-და-სხვა კომიტეტების სახელით. ნუ თუ ამ შემთხვევაში საზოგადოების შეგნებული ნაწილი და განსაკუთრებით პრესსა მოვალე არ არიან—საქმეში ჩაერიონ და **ხალხის** მოძრაობას გონიერი მიმართულება მისცენ?! ჩვენი ორივე გაზეთი იმას ამბობს, რომ წვა დაგვისა და შესევის წინააღმდეგნი ვართო, მაგრამ დღევანდელი ეკონომიური ურთიერთობა, აგრარული პირობები ანორმალურათ მიგვაჩნია—და მათი მოწესრიგებაა საჭიროო. „ცნობის-ფურცელი" პირდაპირ ამბობს: „ჩვენც ვეწინააღმდეგებით, ჩვენც სამწუხაროდ და მავნებლად მიგვაჩნია წოდებათა შორის არსებულ ანგარიშების ცეცხლითა და მახვილით გასწორება, მით უმეტეს ეხლა, როცა საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობა თხოულობს, **დროებით მაინც, ძალების შეთანხმებას** (კურსივი ჩვენია)! ჩვენც სწორედ ამას ვამტკიცებთ ჩვენს წერილში და, მაშასადამე, რაღას გვიკიჟინებენ ჩვენი პატივცემული რედაქციები?! ნუ თუ „ივერია" ამაზე ამბობს: ჩვენი მიმართულება ძირითადად ეწინააღმდეგება თავად-აზნაურთა (?) მიმართულებასო?!

ამ სახით, პატივცემულ „ივერიის" შენიშვნა ჩვენის „სიფრთხილისა" და „წინდახედულობის" შესახებ მეტად უსაფუძვლოა; პირიქით, ჩვენ უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ჩვენის წერილის ადვილად გასაგები შინაარსი გადაასხვაფერეს და უკუღმართი აზრები მოგვაწერეს. ამას ჰქვია ჩვენში „გაღმა შედავება" და „ჩემი შენ გითხარ"-ობა! **სიფრთხილე, წინდახედულობა**, რასაკვირველია, ყოველ ადამიანს მართებს, მაგრამ ყველაზე უფრო პრესსას მართებს ეს გონივრული თვისებანი.

პირველი ჩვენი წერილის ხელის მომწერთაგან ოცმა ინტელიგენტმა უკვე წაიკითხა ეს წერილი და მოიწონა მისი შინაარსი, და რადგან 104 კაცის, და ისიც უთუოდ აღნიშნულ პირების, თავის მოყრა ძნელი აღმოჩნდა, ამიტომ ამ ოცმა კაცმა მომანდო—ვსთხოვო პატივცემულს „ცნობის ფურცლისა" და „ივერიის" რედაქციებს—დაბეჭდონ ეს ჩვენი წერილი თავის ორგანოების უახლოეს ნომრებში. სრულიად დარწმუნებულნი ვართ, დანარჩენი ხელის მომწერნიც თანახმა იქმნებიან ჩვენის საპასუხო წერილის შინაარსისა.

ამასთან საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ, რომ მრავალი ინტელიგენტთაგანი, რომელთაც ჩვენს წინა წერილზე შემთხვევით ხელი არ მოუწერიათ და რომელთაც ეს ახალი წერილიც წაიკითხეს, სავსებით თანაუგრძნობენ ამ წერილების შინაარსს.

ქუთაისურ ინტელიგენტთა ჯგუფის მონდობილობით

ს. თ. ხუნდაძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

14 მაისი.

ტოკიო, 13 მაისი (რეიტერი). ნაშუადღევს ხმა გავრცელდა, რომ კორეის სრუტეში ამ ქამად როჟესტვენსკისა და ტოგოს შორის ბრძოლაა ატეხილიო.

გოძიდანი, 13 მაისი. ნაშუადღევის ხუთს საათზე მიშჩენკოს რაზმი კონკანის გზით თითქმის სინმინტინისა და ფაკუმინამდე მივიდა, ხელში ჩაიგდო სადივიზიო საავადმყოფოს განყოფილება, 16 ურემი, სასანიტარო რაზმი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია, ერთი ექიმი და ერთი ფერშალი. ფაკუმინის სამხრეთით რაზმმა დაამარცხა ის პოლკი, რომელიც შიფუძის გზას იცავდა. კაზაკები იბრძოდნენ ცხენ-და-ცხენ და ქვეითად და თხრილები იერიშით აიღეს. ტყვეებთან ერთად იაპონელების ზარალი 600 კაცს უდრის. რაზმს ტყვეების გარდა დავლად დარჩა ორი ტყვიისმტყორცნელი, ოცი ურემი და 200 ცხენი.

შანჰაი, 13 მაისი (რეიტერი). როგორცა სჩანს, ადმირალმა როჟესტვენსკიმ თავისი ესკადრა ორად გაჰყო. წუხელის რუსეთის ჩვიდმეტი გემი სედლის კუნძულების მახლობლად იდგა. ამბობენ, ეს გემები ნახშირით იტვირთებიან და შემდეგ ჩრდილოეთისაკენ წავლენო.

შანჰაი. ბალტიის ესკადრის 50-მა გემმა სადლის კუნძულებთან ნახშირი დაიდო და დღეს გზას გაუდგა. ექვსი სანახშირე გემი ვუზუნში დარჩა. ჩინელებმა უბრძანეს, 24 საათში აქედან გადითო, მაგრამ რუსებმა უარი განაცხადეს და თავისაც იმით მართლულობენ, ვითომ ეს გემები სამხედრონი არ არიანო. რუსები კარგ გუნებაზე არიან და გამარჯვების იმედიც აქვთ.

მოსკოვი, 13 მაისი. ადმირალმა მოსკოვზე გაიარა და ლაპარაკში ერთს ჟურნალისტთან განაცხადა, მესამე ესკადრა სრულებით მზად იქნება 1 ივნისისთვის, რის შემდეგ დაუყოვნებლივ შორეულ-აღმოსავლეთში წავაო.

ნაგასაკი, 13 მაისი (რეიტერი). ბრიტანიის სამი ნახშირით დატვირთული გემი, რომელნიც ჰონკონგში მიდიოდნენ, მოჯის მთავრობის ბრძანებით დაიჭირეს.

შანჰაი, 13 მაისი („დეილიმეილი"). ნიპონ-იუზენკაიშისაგან დაქირავებულმა გემმა „ბენვარლიხმა" ნახა რუსეთის ორი დიდი კრეისერი მესამედ მანძილზე შანჰაიდან ნაგასაკამდის, აღმოსავლეთის მხრით. დაოტაიმ პროტესტი განაცხადა ვუზუნში რუსეთის გემების ყოფნის გამო და მოითხოვა, რომ გემები 24 საათში წავიდნენ ვუზუნიდან. რადგანაც იაპონიის გემები მუდამ მოდიან ვუზუნში და წარსულ კვირაში იაპონიის გემი „კაგანამავარუ" მთელ დღეს იდგა ვუზუნში, ამიტომ საეჭვოა, რომ ჩინეთმა შესძლოს პროტესტისთვის მხარის დაჭერა. მთელი დღის განმავლობაში რუსების ირგვლივ დაძვრებოდნენ პატარა ორთქლის გემებზე იაპონიის მოხელეები და ჯაშუშები. რუსეთის გემების ახლოს დგანან ჩინეთის კრეისერები „ლაიში" და „ლაიუნგი". ხმა ვითომ მომხდარ საზღვაო ბრძოლის შესახებ, მართალი არ გამოდგა. ვუზუნში მოვიდნენ რუსეთის სატრანსპორტო გემები, რომელთაც დაჰყვებიან მფარველად გემები: „რიონი" და „სმოლენსკი". სატრანსპორტო გემების აფიცერთა სიტყვით, ჯავშნიანი გემები კარგ მდგომარეობაშია და მზად არიან ბრძოლისათვის. ხმა როჟესტვენსკის ავადმყოფობის შესახებ, მართალი არაა.

შანჰაი, 13 მაისი. ინგლისის შიკრიკი გემი, რომელიც განუწყვეტლივ თვალს ადევნებდა რუსებს, მოვიდა ვუზუნში და აქედან წავიდა ვეი-ჰაი-ვეიში. რამდენიმე იერიში რუსებისა ჩინტაფუზე უკუქცეულ იქმნა. ლიაოხეს დასავლეთის მხრით მყოფმა რუსეთის კავალერიამ დაიწყო მონგოლიის ჩრდილოეთ საზღვრისკენ. ადგილობრივმა გუბერნატორმა რუსეთის გემების ვუზუნში ყოფნის გამო პროტესტი განაცხადა და მოითხოვა, რომ გემები 24 საათში წავიდნენ აქედან. ამ პროტესტმა გააკვირვა საზღვაურთა წრეები.

კოპენჰაგენი, 13 მაისი. ჩრდილოეთის სატელეგრაფო კომისია აცხადებს, რომ საზღვაო ტელეგრაფის მავთული ჩიფუსა და ვუზუნს შორის გადაჭრილიაო.

შანჰაი, 14 მაისი (ბერლინზე). რუსეთის მთელი ესკადრა გამოჩნდა მდინარე იანძიძიანის შესართავთან, დაახლოვებით 120 კილომეტრის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით შანჰაიდან.

ნიუ-იორკი, 14 მაისი. ტოკიოდან აქ ხმა გავრცელდა, რომ კორეის სრუტეში საზღვაო ბრძოლა დაიწყოო.

შანჰაი, 13 მაისი („დეილიმეილი"). ვუზუნში სდგა რუსეთის ნახევრად ნახშირით დატვირთული 6 გემი. ინგლისის სამხედრო გემი „ალიაკრიტი" ამ გემებს ვუზუნამდე მოჰყვა, მერე კი თავი დაანება და ვეი-ჰაი-ვეის წავიდა.

13 მაისს სადამოს ბალტიის ესკადრა უნაგირა კუნძულებს მოშორებდა.

ტოკიო, 13 მაისი („დეილი ტელეგრაფ"). პესკადორის კუნძულებთან იაპონელებმა საფრანგეთის გემი დაიჭირეს.

ბაქო, 13 მაისი. გუბერნატორი თავადი ნაკაშიძე დაასაფლავეს. დილიდანვე დუქნები დაკეტილი იყო მთელ ქალაქში. ასი ათასი ხალხი შეგროვდა გუბერნატორის სახლთან მის კუბოს გამოსვენებლად და საფლავზე მისვენების პატივსაცემად. დილის 10 საათზე ნაბერენი ქუჩით კუბო მკვლელობის ადგილისკენ გამოასვენეს, სადაც გადახდილ იქმნა პანაშვიდი. გვირგვინებით დაფარული კუბო გამოასვენეს ქუჩაში მაღალ თანამდებობის პირებმა, ქუჩაში კი კუბო ჩამოართვეს მაჰმადიანებმა და თავზე დადგმული სობორომდის მისვენეს. დასაფლავებას დაესწრნენ: ნამესტნიკის თანაშემწე შირინკინი, გენერალ-გუბერნატორი ამილახვარი, სენატორი კუზმინსკი, გენერალი ნიკოლაევი, რუსეთისა და ოსმალეთის მთავრობასთან მყოფი სპარსეთისა და სხვა სახელმწიფოების ელჩები, მაღალ თანამდებობის პირები, მართლ-მადიდებელთა, მაჰმადიანთა და კათოლიკეთა სამღვდელოება, რუს, ქართველ და მაჰმადიან საზოგადოების წარმომადგენელნი და ბაქოში მყოფი ჯარები. ანდერძის თანახმად, თავადის და მის მეუღლის გვამები დაასაფლავეს ნიკოლოზის სობოროში, ცოხეში. სობოროში წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა, რომელიც აღნიშნავდა, რომ თავადი მართალი იყო იმაში, რასაც აბრალებდნენ მას. სრული წესიერება სუფევდა.

ლონდონი, 13 მაისი. გაზეთების ცნობებით, გარდაცვლილ დირუდ ნაბაბის უმცროსმა შვილმა ბრძოლა დაიწყო თავის უფროს ძმასთან, რომელიც ნაბაბის დირის, შაქდარის ახლოს, ხიტრალის მხრით

პარიზი, 14 მაისი. ბელგიის მეფე მოვიდა ნაგოემს, სადაც ამერიკის შტატების სვერეტარს გეის მოელაპარაკება კონგოს შესახებ.

ბელგრადი, 12 მაისი. პაშიჩმა მეფეს წერილობით სთხოვა სამსახურიდან დათხოვნა. მოლაპარაკება ჯერაც არ შეწყვეტილა, თუმცა ნაყოფი არ მოუტანია.

პეტერბურგი. მე-3 ქვეითა რაზმის დივიზიის უფროსს გასილიევს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა. ებოძათ ორდენები წმ. ანნასი—პირველის ხარისხისა ხმლებით გენერალ-მაიორს შტილდოვს, ისტომინს და ბალაშხანსკის. ნიკოლოზ I სახელობის გატჩინის ობოლთა ინსტიტუტში შესდგა წლიური აქტი. დასესწრო უავგუსტოესი მზრუნველი დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. 13 მაისს დასრულდა სრულიად-რუსეთის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება.

ლონდონი, 13 მაისი. გენერალ-მაიორ ერმოლოვს, რომელიც სამხედრო აგენტობას ლონდონში თავს ანებებს, მეფემ უბოძა ვიქტორიის ორდენი.

სოფია, 13 მაისი. იმის გამო, რომ მარშან რუმინიის პედაგოგები სადარბაზოდ ბულგარიას ეწვივნენ, 150 მასწავლებელი, ქალი და კაცი, ბუქარესტში მიდის დარბაზობის გადასახდელად.

ვარშავა, 13 მაისი. ამ უკანასკნელ დროს მომხდარ ამბების გამო გენერალ-გუბერნატორი აცხადებს, რომ წესიერების დამყარება ჯარსს აქვს დავალებული, რომელიც, თუ საჭირო იქნება, დაუნდობლად იარაღს მიჰმართავს. ძალის-დამტანებელი, მძარცველები, დამნაშავეთა დამფარველნი და წამქეზებელნი სამხედრო სამართალში მიიცემიან. მცხოვრებლებს ურჩევს ნუ გაერევიან ბრბოში, რადგან იარაღის ხმარების დროს შეიძლება უბედურებას შეემთხვნენ.

ბერლინი, 13 მაისი. დეპუტატთა პალატამ მიიღო ნოველლა შესახებ მთა-მადნების მუშების იმ რედაქციით, რომელიც ცენტრმა და ნაციონალ ლიბერალებმა შეიმუშავეს. ნოველის ძალით, უნდა დაარსდეს მუშათა კომიტეტები, ფარულ კენჭის ყრით არჩეულნი. გაუქმდეს მეწარმოებელთა უფლება შესახებ ცუდი ნახშირის დაწუნებისა.

ტფილისი, 13 მაისი. ბაქოს გუბერნატორის მკვლელი ხატისოვის ქარხანაში დაიჭირეს.

პეტერბურგი, 13 მაისი. შინაგან საქმეთა მინისტრის უქმემრდომილეს წარდგენის თანახმად ... არის ნებადართული სამინისტროს თანხებიდან ორასი ათასი მანეთის გაცემა შეღავათიან სესხად პეტერბურგში მშრომელ ხელმოკლე ხალხისთვის სადგომების მომწყობ და გამაუმჯობესებელ საზოგადოებისათვის. რაკი მარიინის და ტიხვინის წყლის სისტემები ხოლერის მხრივ საშიშ ადგილებთან შეკავშირებული არიან, ამიტომ აქ ნავიგაციის დასრულებამდის გაძლიერებული სასანიტარო ზედამხედველობაა შემოღებული. მთავრობის და მეგემეთა ხარჯით რამოდენიმე ადგილას აწყობენ მუშათათვის იაფ ფასიან სასადილოებსა და საჩაიებს. ერობებმა თანხმობა თუ გამოაცხადეს, ამ დაწესებულებათა გამგეობა მათ გადაეცემათ. ამაზე წინეთ გადადებულ 250,000 მ. გარდა ახლა გადადო კიდევ 130.000 მ. რაკი ბაიკალის იქეთა მხარეში გადადის ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთისკენ ჯარები და აქ ჩამოდიან შორეულ აღმოსავლეთიდან სნეულები და დაჭრილები, ამიტომ გადამდებ სენის ასაშორებლად წირანოხის საწინააღმდეგო საზოგადოებამ გადადო 10,000 მანეთი იქეთკენ 6 ექიმის და 9 ექიმ-სტუდენტების გასაგზავნად.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

კანტორა

„კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საზოგადოებისა" იმყოფება ქ. ტფილისში, ტურგენევის ქუჩაზე, № 11, და ღიაა დილის 9 საათიდან 11 საათამდის. (10—უ—3)

პირველად ქართულს ენაზე
✦ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ✦

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგებს ენითა და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. **„უცხო ანდაზები და წინადადებანი**, რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ 1 **მან.**, საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ, книжная торг. I. З. Имедашвили.
(10—6.—4).

В Центральной книжной торговлѣ, въ Тифлисѣ, поступили въ продажу:

БОГДАНОВЪ. Краткій курсъ экономической науки. М., ц. 1 р., перес. 25 к.
ЗОМБАРТЪ. Современный капитализмъ, т. I. Генезисъ капитализма, т. II. Теорія капиталистическаго развитія. М., ц. за 2 т. 4 р. 50 к., перес. 70 к.
ВАНДЕРВЕЛЬДЕ. Бѣгство изъ деревни и возвращеніе къ полямъ М. ц. 1 р. перес. 25 коп.
ТЕКСТЫ КОНСТИТУЦІИ. Сборникъ I. Основные законы Англіи.—Французская конституціи 1791, 1814 и 1830 г. Бельгійская конституція, М. ц. 40 к., пер. 15 к.
АЛЕКСѢЕВЪ. Земскіе соборы древней Руси. Р. ц. 10 к.; перес. 15 коп.
ГОРБУНОВЪ. Гарантіи личной свободы въ Англіи Р., ц. 15 к., перес. 15 к.
КАРЫШЕВЪ. Экономическія бесѣды, Р., ц. 20 к.; перес. 15 к.
КИЗЕВЕТТЕРЪ. Девятнадцатый вѣкъ въ исторіи Россіи. Р., ц. 15 к., перес. 15 к.
ЛАВИССЪ и РАМБО. Всеобщая исторія. Т. 8. Французская революція 1789—1799 М., ц. 1 р. 50 к., перес. 15 к.
МИЖУЕВЪ. Министръ-каменщикъ. Жизнь и дѣятельность англійскаго рабочаго, впослѣдствіи члена министерства, Генри Бродгерста С.-П.Б. ц. 50 к., перес. 20 к.
ЦЕТКИНА. Женщина и ея экономическое положеніе. О., ц. 10 к., перес. 15 к.
ХАТИСОВЪ. Два слова о только что минувшей стачкѣ рабочихъ (въ декабрѣ, 1904 г.) и современномъ положеніи нашего рабочаго вопроса. Б., ц. 50 к., перес. 13 к.
Заказы иногородныхъ исполняются по полученіи денегъ и четко писаннаго адреса.
(2—б.—2)

!! Остерегайтесь подделокъ !!
ГИГІЕНИЧЕСКОЕ
Борно-Тимоловое Мыло
ПРОВИЗОРА
Г. Ф. Юргенсъ.
Уничтожаетъ веснушки, загаръ, желтыя пятна, прыщи, угри и дѣйствуетъ противъ излишней потливости и дезодорирующее. Рекомендуется, какъ благовонное туалетное мыло высшаго достоинства. Золотая медаль, Лондонъ 1893 г. Цѣна за кусокъ 50 коп., ½ кус. 30 коп. Продается во всѣхъ лучшихъ аптекахъ, аптекарскихъ и парфюмерныхъ магазинахъ. Главный складъ для всей Россіи Г. Ф. Юргенсъ, въ Москвѣ. (19—30.—2)

მოთხრობის დასასრული (წინა სვეტის ქვედა ნაწილი):

ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, ილიკო გარედ არ გამოვიდა! აქა ვარ, აქა ვარო,—დაუძახა.—რას გვატყუილებდი, სირცხვილი არ არის შენიდენა დედაკაცისათვისაო?!. ისეთი შემამიბღვირეს, რომ კინაღამ შიშით გავქრი. შევიდნენ ოთახში, შუაღამემდინ არ დაუძინიათ, სულ ლაპარაკობდნენ, მე ვეღარ მოვითმინე და ჯუჯრუტანაში შევიხედე, ამოყარეს და ამოყარეს ჯიბიდან ქაღალდები, ამოყარეს და ამოყარეს, სად ჰქონდათ ამდენი, ეხლაც არ ვიცი. შუა ღამე რომ გადავიდა, ისე, როგორც იყვნენ, ტახტზე მიეყარნენ და დღეს დილით ადრიანად საჩქაროდ სადღაც წავიდნენ. აი, ასეა ჩემი საქმე, მღვდელო, რა ვქნა, რა ვუყო მაგ პირდაწყეულილსა? მკითხავიც არავინ არის, რომ ვაკითხვინო, სხვა რა ვუყო, რო არ ვიცი!

მღვდელი ყურს აღარ უგდებდა. ის ფიქრებში იყო გართული და უცბად რაღაცაზე გაეცინა.

მელანომ გაკვირვებით შეჰხედა.

მღვდელმა სიცილს უმატა. ბოლოს ცოტა ყოყმანის შემდეგ, მხიარულის კილოთი მიუბრუნდა:

—იცი, რა მამაგონდა, მელანო: სადღაც ერთი სურათი ვნახე, დახატულია პატარა ტბა, კრუხისთვის მიუსხამთ იხვის ჭუკები და კრუხს ეს ჭუკები შემთხვევით ამ ტბასთან მიუყვანია, ჭუკებს წყალი რომ დაუნახავთ, გაჰქანებულან და შიგ შეცვივნულან, კრუხი კი დარბის ნაპირზე და წიოკობს, იქაურობას ჰგლეჯავს...—სთქვა მღვდელმა და გადიხარხარა.

— მერე, მამაო?—გაკვირვებით შეეკითხა მელანო.

— მერე ისა, რომ... შენ... იმ კრუხს მაგონებ!..

მელანომ წამოიწია: მღვდლის სიტყვები შეურაცხყოფად მიიღო.

— ქა, კრუხი რა შუაშია?! მე სამასხაროდ კი არ მოვსულვარ აქა... კრუხი რას ქვიან...

მღვდელი მიხვდა თავის დანაშაულობას და სცდილობდა საქმე როგორმე გამოეკეთებინა.

—არა, მელანო, გაგეხუმრე, საწყენი აქ არაფერია, მოითმინე, სად მიხვალ...

მელანო ყურს აღარ უგდებდა. ის გორიდან ბურტყუნით დაეშვა, უფრო გულ-ჩამკვდარი, უფრო დათუთქული.

— კრუხიო... რამ მოაგონა ეს კრუხი, დასწყევლა ღმერთმა!—ბუტბუტებდა მელანო—მე აქ ჩემს გაჭირებაზე ველაპარაკები, ეგ კი რაღაც კრუხის ამბავს მომიყვა, აი, მეხი კი დავაყარე მაგას თავზე! მართალს ამბობენ ჩვენი ბიჭები, ეგ მღვდელი კი არ უნდა იყვეს, მაგას უნდა არღანი მისცე ხელში და დღეობებზე ატაროს—ამბობდა გულ-მოსული მელანო და თან უკან იხედებოდა.

მღვდელმა კი კარგა ხანს თვალი გააყოლა მელანოს, ბოლოს თავი გაიქნია,—საწყალი მელანო!—ამანაც წაიბურტყუნა და ისევ შეშის პობა დაიწყო.

ხვ. ყიფიანი.